რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 22 დეკემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 3 მან. 35 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 8 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს ღამის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერთ მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა [illegible] ხით, უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакц[illegible] [illegible]რესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 223 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 223 224

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეკლე აბაშიძისა შვილებითურთ და თამარ ორბელიანისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობებს

კიტას

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათზე. (ნიკოლოზის ქუჩა № 66. გამოსვენება შაბათს 23 დეკემბერს, 2 საათზე, სიონის ტაძარში. ანდერძის აგება 24 დეკემბერს, დასაფლავება დიდუბეში ქართ. მწერალთა სავანეში.

გულდათუთქული უბედური დედა სოფიო დავით გურიელის ასული აბაშიძისა და ეკატერინე გიორგის ასული ერისთავისა და ნიკო ყარამანის ძე თავდგირიძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს

კიტას

გარდაცვალებას.

ალექსანდრე ივანეს ძე და მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობებს უძვირფასესი სიძისა და მეგობრის

კიტას

გარდაცვალებას.

ნინო ნიკოლოზის ასული ორბელიანისა, ანასტასია ნიკოლოზის ასული ჯავახიშვილისა და ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს საყვარელ

კიტას

გარდაცვალებას.

გულ დაწყვეტილი ამხანაგები: ალექსანდრე ვადაჭკორია, ხარიტონ და ვასილ მახარაძეები, ლიუდმილა ივანეს ასული მგალობლიშვილი, ალექსანდრე კანკაძე, ივანე გვარჯალაძე და ამბერკი ვადაჭკორია უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი ამხანაგის

ზაქარია ვადაჭკორიას

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

ღრმა მწუხარებით გულ მოკლულნი: ბიძა ანტონ, ბიძის ცოლი კესო, ბიძაშვილები: სიმონ, რაფიელ, ნადია, თამარა, სევასტი, ძმა თომა ანთიძენი, აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ბათუმის სამხედრო ლაზარეთში, უდროოდ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი, კავკასიის ფრონტზე დასახიჩრებული ჯარის-კაცი

ნესტორი დიმიტრის ძე კიკმარიშვილი.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ღრმად დაამწუხრა ისნის კულტურულ დაწესებულებათა გამგეობანი: სამკითხველოს, საკრედიტო ამხანაგობის და კოოპერაციის, ტრაგიკულად გარდაცვალებამ ამხ.

ილია მალხაზის ძე ხეთერელისა

რომლის გამოსვენება დანიშნულია 21 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, ისნის ღვთის-მშობლის ეკლესიის სასაფლაოზე.

ახალ სრულ-უფლებიან

ქართულ გიმნაზიაში

ორთავე სქესის ყმაწვილთათვის

სწავლა უკვე დაიწყო. მიღება გრძელდება უგზამენოთ, მიღებულებს გადარჩევა მოხდება 20 და 21 დეკემბერს პირველ კლასში და მოსამზადებელ განყოფილებებში მოსწავლეებისათვის, მიხედვით მათი ცოდნისა, ნიჭისა, შრომის მოყვარეობისა და უნარისა. იანვარში მიღების მსურველთ კი ექნებათ გამოცდა დეკემბერში 22 და 23, იანვარში 5 და 8.

მისამართი: ვერის უმაღლესი პირველ-დაწყებ. სასწავლებელი, არაგვის ქ., სრ. ორის სახლი № 2.

15—15

დამფუძნებელი ს. და თ. გრიაშნოვები.

ექიმი ვ. გ. მუხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 6—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] ხაზ. შენობის პირდაპირ, სახ. [illegible]ნიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ჯაფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის [illegible] კლინიკის [illegible] იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, [illegible] ქუჩის პირდაპირ, [illegible] ქუჩა, № 19.

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა"-ზე

ხელის მოწერის პირობები:

ერთი თვით — 4 მან. 50 კაპ.
ორი თვით — 9 მანეთი
სამი თვით — 13 მან. 50 კაპ.
ექვსი თვით — 27 მანეთი
ერთი წლით — 50 მანეთი
ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობა გვაიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".

ამხანაგებს და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

აგრარული რევოლიუცია

მიმდინარე რევოლიუციის მთავარი ძარღვი აგრარული საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ ლენინ-ტროცკის უტოპიამ მას სოციალისტური სახელი უწოდა და სოციალური რევოლიუციის წინამორბედათ ცნასა.

ამიტომ აგრარული საკითხის გადაჭრა ამ ხანათ ყველაზე მძლავრი იარაღია მრავალ მილიონიან გლეხკაცობის მისაჯაჭვათ რევოლიუციაზე, და ასე ამ პოლიტიკური თავისუფლების განსამტკიცებლათ და შესანარჩუნებლათ, რომელიც თებერვლის დამდეგიდან დღემდე სავსებით იყო განხორციელებული რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე.

დებულება მიწის შესახებ უკვე გამოიცა ამიერ კავკასიის კომისარიატისაგან.

ამ დებულების თანახმათ ყველა ის ურთი-ერთობანი, რომელნიც მონობის უღელს ადგამდნენ გლეხკაცობას, გაუქმებულია. ამიერიდან მოისპო წოდება სანადელო გლეხების, ხიზნების, მუდმივი მოიჯარადრეების, საეკლესიო და სახაზინო გლეხების, რომელნიც შებღუდული იყვნენ მიწით სარგებლობაში და მის მოხმარაში. ამრიგად ეს დრომოჭმული ფორმები, ეს სასირცხვო ნაშთები ბატონყმურ ურთიერთობის, რევოლიუციის ტალღის ქვეშ დაიმარხა. დამოკიდებული გლეხი ამიერიდან დამოუკიდებელი შეიქნა და თავის ოფლით მიწა წყალს დაეპატრონა. მარა ეს კიდევ არ არის უმთავრესი, რადგან ეს ეხება გლეხთა მხოლოდ ერთ ნაწილს. ამით მიწის სიმცირე, სივიწროვე კიდევ არ ისპობა. ამ სივიწროვის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი საშუალებაა, რომელიც დაუყოვნებლივ შეიძლება განხორციელდეს, და რომელიც უკვე გამოაქვეყნა თავის დებულებაში ამიერ კავკასიის კომისარიატმა. ეს საშუალებაა—მსხვილ მემამულეთა მიწების ჩამორთმევა, საუფლისწულო, საკაბინეტო, საეკლესიო და სხვა მიწების კონფისკაცია და მათი გადაცემა გლეხობისათვის. ამ დებულების გამოცემის დღიდან ყველა ასეთი მამულები, რომელიც კი ამიერ კავკასიის ტერიტორიაზე არსებობს, გლეხების განკარგულებაში ითვლება, მათ საჭიროებას უნდა მოახმარდეს, მათ სიღარიბეს უნდა მალამოთ დაედოს. მარა როგორ, რა წესით შეიძლება ამ მიწებით სარგებლობა? აი მთავარი და საყურადღებო საკითხი.

კანონის გამოცემა კიდევ არ ნიშნავს კუჭის გაძღომას. კანონი ფუჭია, თუ მას კარგი ამსრულებელი არ აღმოუჩნდა.

რუსეთშიაც გამოიცა კანონი მიწების კონფისკაციის შესახებ. იგი ლენინის მთავრობამ ჯერ კიდევ ოქტომბრის ბოლოში გამოაქვეყნა. მაგრამ შედეგი ამ კანონს სწორეთ იმის წინააღმდეგი მოყვა, ვინემ მისი ავტორები მოელოდენ. ლენინის აზრით, ამას უნდა სავსებით დაემშვიდებინა სოფელი და იქ სამოთხისებური წესიერება დაემყარებინა. ნამდვილათ კი აი რა მოხდა: გლეხებმა, რომელიც არც ორგანიზაცია გააჩნდათ, არც საკმაო შეგნება და გამოცდილება, ამ დეკრეტის მიხედვით იწყეს მემამულეთა ქონების დატაცება. გროვა-გროვათ შეესივნენ რომელიმე კარგათ მოწყობილ მამულს და გაანადგურებდნენ, რის წაღებაც შეეძლებოდათ, მიჰქონდათ, რასაც არა, ამტვრევდენ, წვავდენ, აოხრებდენ, სხვას არ ჩაუვარდეს ხელშიო.

ბევრგან კულტურული მეურნეობა გაავერანეს, ქარხნები გადასწვეს და გაოხრეს. ერთი სიტყვით, სიველურე და განადგურება გაბატონდა. ასეთი მოქმედებით მათ თითქოს მემამულეზე იძიეს შური, მარა ყველა შეგნებული ადამიანი მიხვდება, რომ ნამდვილათ მხოლოდ თავის თავს ავნეს, თავის საერთო ქონება გაანადგურეს, ერთმანეთი დაახარბეს. ასეთია შედეგი შეუგნებელი სტიქიის. ასეთ განადგურებას ამ დეკრეტის გამოცემამდეც ქონდა ადგილი, მარა მის შემდეგ იგი კიდევ უფრო გაძლიერდა. ამით რუსეთის მდგომარეობა რამდენიმე ათეული წლით უკან წავიდა, მრავალი წლობით შეძენილი და დაგროვილი სიმდიდრე—ცეცხლის მსხვერპლი გახდა.

ჩვენში, ამიერ-კავკასიაში ასეთ არეულობებს თითქმის არსად სერიოზული ხასიათი არ ქონია. ჩვენმა გლეხობამ იმ თავითვე შესაფერი გონიერება გამოიჩინა. იგი არა თუ თვითონ არ ანადგურებდა მიწის, ტყის სიმდიდრეს ბევრგან თვით უდგა დარაჯათ, რომ გაბატონებულ მემამულეებს, ან ძველ მეველეებს არ აეოხრებინათ ის ადგილ მამული, რომელიც რევოლიუციის წყალობით სოფლის ხელში უნდა გადასულიყო.

და დღეს, როცა ასეთი წუთი დადგა, როცა მამული უკვე სოფლის მცხოვრებთა ხელში გადადის, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ჩვენი გლეხობა უფრო მეტ გონიერებას და პოლიტიკურ შეგნებას გამოიჩენს.

გონების სამუშაო და გასაკეთებელი კი ძლიერ ბევრია. გამოცემული დებულება, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა, არის მხოლოდ ძირითადი დებულების, მთავარი აზრის, რომელიც უნდა დაედვას საფუძვლათ აგრარულ რეფორმას.

მის ადგილობრივ პირობებთან შესაგუებლათ და ცხოვრებაში გასატარებლათ საჭიროა კიდევ ბევრი მუშაობა. მაგალითად დებულებაში არ არის აღნიშნული, თუ რამდენი მიწა უნდა დარჩეს მემამულეს და რამდენი ჩამოერთვას, არ არის აღნიშნული, რა პირობებით უნდა გადაეცეს ჩამორთმეული სახნავ-სათესი მიწები მიწის მუშებს. არ არის გამომუშავებული, როგორი უნდა იქნეს წესი ტყით სარგებლობის, სათევზო წყლების, დიდი საბალახოების და სხვ. ვინ უნდა შეიმუშაოს ეს წესები?

კომისარიატმა, მეტყვით თქვენ. დიახ კომისარიატმა, მაგრამ კომისარიატი და მისი წევრები ვერას გახდებიან, თუ თვით ხალხმა თავის ხმა არ მოაწოდა.

მიწის საკითხი მეტად რთული და მრავალფეროვანია. თითქმის ყოველ მაზრაში, გუბერნიაში, კუთხეში არსებობს თავისებური წესები მიწით სარგებლობის, თვითეულ მაზრას და გუბერნიას აქვს თავის განსაკუთრებული პირობები და საჭიროებები. ყველა ამის გამორკვევა, აღნუსხვა და საჭირო ცვლილებების შემუშავება უნდა იკისროს თვით სოფელმა.

სოფელი კი მხოლოდ ყრილობებზე მოახერხებს ამას, ამიტომ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ყოველ რაიონში, ყოველ მაზრაში და გუბერნიაში და შემდეგ მთელ ამიერ-კავკასიაში მოხდეს გლეხთა ყრილობა ამ აგრარული რეფორმის საზოგადოთ ხორც-შესასხმელათ და ცხოვრებაში გასატარებლათ. ამ ყრილობებზე უნდა გამოირკვეს, რამდენი უნდა ჩამოერთვას მემამულეებს, ვის უნდა გადაეცეს ჩამორთმეული მამული? დაურიგდეს გლეხებს ცალკე ოჯახებს, თუ გადაეცეს სოფლის თვითმართველობებს, თუ სოფლის თვითმართველობებს გადაეცემა, ვის უნდა მოახმარონ არჩეულმა კაცებმა ეს მიწა და რა პირობებით, იჯარით თუ უჯაროთ, ასევე უნდა შეიმუშაოდეს საკითხი ტყის შესახებ და სხვ.

დებულების ძალით ჩამორთმეული მიწები მთელ გუბერნიის გადადის საგუბერნიო სამადგილმამულო კომიტეტების განკარგულებაში, სანამ ერობა იქნებოდეს არჩეული. მარა საგუბერნიო კომიტეტი ვერ მოუვლის მამულებს, თუ მას არ დაეხმარენ და ხელი არ შეუწყვეს სამაზრო და სარაიონო სამადგილმამულო კომიტეტებმა. მაშასადამე საჭიროა ამ კომიტეტების არჩევა, სადაც იგინი არ არსებობენ, საჭიროა შემუშავება მათთვის ინსტრუქციის, ესე იგი სახელმძღვანელო წესების, რომლის თანახმათაც მათ უნდა იმოქმედონ. და ყველა ეს მუშაობა უნდა შესრულდეს აუცილებლათ მომავალ გაზაფხულამდე, როცა სოფლათ მიწის მუშაობა გაჩაღდება.

თუ ეს კითხვები ზაფხულამდე არ მოწესრიგდა, მოსალოდნელია გაზაფხულზე დიდი არევ დარევის მოწამე გავხდეთ. უმიწობით შეწუხებული გლეხები ანარქიულათ, თვითნებობით დაიწყებენ მიწების დატაცებას, დამუშავებას და ამ ნიადაგზე შესაძლებელია თვით გლეხებ შორის შეტაკება და სისხლის ღვრაც გაჩაღდეს.

ამიტომ ყველა შეგნებულ და მოწინავე ამხანაგის მოვალეობაა—ასეთ შედეგებს ანგარიში გაუწიოს და აგრარული საკითხი ახლავე მოაწესრიგოს.

ჩვენმა სოფლის მუშებმა დღემდე გასაოცარი ნიჭი და რევოლიუციური შეგნება გამოიჩინეს. სრული დარწმუნებული ვართ ამ რთულ საკითხსაც ასეთივე შეგნებით შეხვდებიან.

კლარა ცეტკინა და ბოლშევიკების მარქსისტობა

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ბოლშევიკები მარქსის სოციალიზმის საფუძვლებს დაშორდნენ. ისინი—ზოგი ძველი ჩვეულებით და ზოგიც თვალთმაქცობით თავის-თავს მარქსისტებს უწოდებენ. ნამდვილათ კი ანარქო-ბლანკისტები არიან. და ეს ორ სკამზე ჯდომა ყოველ ფეხის გადადგმაზე ააშკარავებს მათს უპრინციპობას და დაუდგრომლობას. იმათ დაჰკარგეს პრინციპიალური მსჯელობის უნარი, საგანს ღრმათ ვერ ეხებიან. და ხშირათ წყალ წაღებულივით ხავსს ეჭიდებიან. ასე მოუვიდათ მათ კლარა ცეტკინის დაფასებაშიაც.

„ერთობამ" ამას წინათ სხვათა შორის კლარა ცეტკინაც იმოწმა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბოლშევიკებმა კითხვა ადვოკატურათ დასვეს და მოგვთხოვეს ცეტკინას წერილის დაბეჭდვა. როცა ამაზე შესაფერი პასუხი მიიღეს, თვითონვე ინებეს წერილის დაბეჭდვა. ამ წერილს დართული აქვს „ბრძოლის" რედაქციის რიხიანი შენიშვნა, რომელიც აცხადებს თითქო ცეტკინა ბოლშევიკი იყოს და მენშევიკების წინააღმდეგ მიდიოდეს.

ჭეშმარიტების გასაგებათ საჭიროა კითხვის სწორი დასმა. რაზე იყო ლაპარაკი „ერთობაში"? ერთობა ეხებოდა საკითხს—შეიძლება თუ არა დღეს, სოციალიზმის განხორციელება—და ბოლშევიკების წინააღმდეგ ამტკიცებდა მისი განხორციელების შეუძლებლობას. ბოლშევიკებსაც ასე უნდა დაესვათ საკითხი. ისინი კი ეყრდნობიან ცეტკინას წერილის იმ ადგილს, რომელიც უწუნებს კერენსკის მთავრობის შეცდომებს და ფიქრობს, რომ ამით ჩვენ გვამტყუნებს. ამაზე ამბობენ ღია კარების შემტვრევას ცდილობსო.

როდის იყო, რომ ჩვენ კერენსკის მთავრობის შეცდომებს ხელი დავაფარეთ.

ამგვარათ, ბოლშევიკებმა ვერ გაიგეს წერილის დედა აზრი ან არ მოისურვეს მისი გაგება.

მაშ, როგორ უყურებს „ერთობის" მიერ აღძრულ საკითხს, ესე იგი სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობას კლარა ცეტკინა? მოვიყვანოთ ადგილები მისი წერილიდან ისე, როგორც „ბრძოლას" აქვს ნათარგმნი.

„რუსეთი მიწათმოქმედების ქვეყანაა, კაპიტალისტურ მრეწველობის დიდი ცენტრები თავიანთის რევოლიუციონურის პროლეტარიატით ძალიან დაშორებულია ერთი ერთმანეთისაგან და გაფანტულია აქა-იქ მთელ რუსეთის გულზე. მიმოსვლის საქმე ცოტათია განვითარებული. პროლეტარიატის გლეხობასთან დამოკიდებულება იდეოლოგიურათ ჯერ კიდევ დიდია, ფართო მასამ არ იცის წერა-კითხვა, არა აქვთ ძლიერი ორგანიზაციები თავისი მდიდარი კასებით, არა აქვთ პოლიტიკური გამოცდა, რომელიც არჩევნების შემწეობით და პარლამენტარიზმით შეიძინება"— ასეთია რუსეთის განვითარების დაფასება ცეტკინას წერილში.

მართალია, სინამდვილის ამ სწორი, მარქსისტული დაფასებიდან ცეტკინს გამოჰყავს დასკვნა—ბოლშევიკების მიერ დაწყებული ბრძოლა გამარჯვებით გათავდებაო, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს ვითომ ცეტკინა ამბობდეს სოციალიზმი დღესვე გაიმარჯვებსო. კიდეც რომ ასეთ ახირებულ დასკვნას აკეთებდეს ცეტკინა, ეს არაფერს არ ნიშნავს, რადგან თვით და თვით მის წერილში რუსეთის მოუმზადებლობის აღიარება, ესე იგი უქონლობა იმ ბაზის, რომელსაც მარქსიზმი ეყრდნობა. თითონ ცეტკინა შენიშნავს თავის წერილში: „ისტორიული მატერიალიზმი არ წარმოადგენს კარაბადინს, რომელიც საჭირო რეცეპტებით კაცობრიობის ისტორიულ განვითარების ექიმობისათვის".

თუ ცეტკინას აზრით ისტორიული მატერიალიზმი არ წარმოადგენს რეცეპტების კარაბადინს, ცხადია მნიშვნელობა აქვს არა სიტყვებით გამოთქმულ დასკვნას, არამედ მის დასაბუთებას. ეს დასაბუთება კი ჩვენს სასარგებლოთ ლაპარაკობს—რუსეთი ჯერ მოუმწიფებელი არაა სოციალიზმისთვის.

ეს ჩვენი დებულება საუცხოვოთ დაადასტურა თავისი მოქმედებით თვით ბოლშევიკურმა სახალხო კომისართა საბჭომ: მან ვერ განახორციელა ვერც ერთი საქ. რეფორმა, ვერ გადადგა ვერც ერთი ხალხისთვის სარგებლობის მომტანი ნაბიჯი. ამით აიხსნება ის გაოროტება, რომლითაც კომისართა საბჭო სძლევს ყველას, ამით აიხსნება ის საარაკო ძალმომრეობა, რომლითაც ბოლშევიკურმა მთავრობამ სამუდამოთ შეირცხვინა თავი და ნიკო რომანოვის ჯალათებს ზოგ რამეში გადააჭარბა კიდეც.

ვიმეორებთ „ბრძოლის" რედაქციამ ვერ გაიგო ან არ მოისურვა კითხვის დედა აზრის გაგება და ცეტკინას წერილში ის ამოიკითხა, რაც მას უნდოდა, ესე იგი იმ მელასავით მოუვიდა, რომელსაც ის ეზმანებოდა, რასაც ფიქრობდა.

პრესა

ამას წინეთ ჩვენს გაზეთში (№ 221) დაბეჭდილი იყო, რომ მუშათა ერთ კრებაზე ბოლშევიკმა თქვა ვაფურთხებ მუშათა ცენტრის დადგენილებასო და როცა შენიშნეს „ფურთხება" სხვა რომ არ იყოს, უზრდელობააო, ბოლშევიკმა უპასუხა: ეს სრულებით პარლამენტარული სიტყვააო.

ბოლშევიკებიც განაგრძობენ „პარლამენტარულათ ფურთხებას". ამ ბოლშევიკურ პარლამენტარიზმის ერთი სხეპი ნოე ჟორდანიას და ჩვენს გაზეთს მოახვედრეს.

„ბრძოლა" სწერს: „გუშინ ქართველმა ნაციონალისტებმა ნოე ჟორდანია მთელი ქართველობის ბელადათ გამოაცხადეს. დღეს ქართველი მუშათა გაზეთი მოუწოდებს ქართველ მუშებს იდღესასწაულონ ამ ბელადის დაბადების დღე. აქედან მხოლოდ ერთი ნაბიჯი აკლია, რომ მენშევიკების პარტია გარდაიქმნეს ქართველი მუშების პარტიათ".

კავკასიაში ბალღმაც კი იცის, რომ ჩვენ რუსეთის მუშათა კლასთან ერთად ვიბრძვით. ეს არა ერთხელ გვითქვამ და საქმითაც დაგვიმტკიცებია.

საინტერესო ის არის, რომ „ბრძოლა" შაუმიანთან და სომხის დაშნაკელებთან ერთად ნაციონალისტობაში გვდებს ბრალს. „ბრძოლა" და დაშნაკელები! „ორნი არიან, ტოლნი არიან, ერთად მიდიან მიამღერიან".

* * *

ბოლშევიკები სხვის თვალში ბეწვს ხედავენ, ხოლო საკუთარს თვალში დირესაც ვერ ამჩნევენ; „ბრძოლას" კვლავ უკვირს რატომ ამდენს სწერთ ჩვენს შესახებაო. ნამდვილათ კი ჩვენს გაზეთში შეიძლება მეოთხედი ადგილი ეჭიროს ბოლშევიკებთან კამათს, „ბრძოლის" ყოველი ნომერი კი თავიდან ბოლომდე სავსეა ჩვენი ლანძღვით. მაგრამ ეს ისე საინტერესო არ არის, რადგან ბევრი რა უნდა მოსთხოვო ისეთ ხალხს, რომელსაც ფურთხება პარლამენტარული აქტი გონია!

აღსანიშნავია ის, რომ „ბრძოლა"-ს ორგანიულათ არ ეხერხება პრინციპიალური კამათი. ჩვენ ვწერდით, რომ პეტროგრად-მოსკოვის ქალაქის საბჭოების გარეკვას და სხვ. კლასიური ხასიათი არ ქონდაო. „ბრძოლა" კი გვიმტკიცებს: „დღეს გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფემაც კი იცის, რომ სამოქალაქო ომი კლასთა ბრძოლაა"-ო. მოდი და ეკამათე ასეთი ჭკუის და ზნეობის ხალხს!

უმჯობესია ის დაგვიმტკიცოთ, რომ მუშათა კლასისთვის საჭიროა მთელი ხალხის მიერ არჩეულ საბჭოების დახურვა, საჭიროა სოციალისტური გაზეთების დახურვა და დამფუძნებელ კრების გარეკვა, თუ ის ბოლშევიკური არ გამოდგა!

* * *

იგივე „ბრძოლა" ეხება გუშინ მიტინგის რეზოლიუციას დამფუძნებელ კრების გარეკვის გამო და მუშათა და სალდათთა საბჭოებს, „ობივატელებათ" ნათლავს, ან სხვანაირათ რომ ვთქვათ „პარლამენტარულათ აფურთხებს". ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ბოლშევიკები არც ერთს მუშათა ორგანიზაციას არ სცემენ პატივს, თუ ის ბოლშევიკური არაა. ამიტომ საჭიროა აღინიშნოს „ბრძოლის" ორი თავხედობა. პირველი: დამფუძნებელი კრება კი არა „პატარა კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფი" გავრეკეთო. ეს თავხედობა მით უფრო საარაკოა, რომ ბრძოლა თითონ დასძენს რამდენიმე სტრიქონის ქვემოთ დამფუძნებელ კრების გარეკვა შეიძლება თუ ის ხალხის ინტერესის დამცველი არ იქნაო. მეორე თავხედობა: „ბრძოლა" მაჩაბლის სოციალისტობას ფრჩხილებში სვამს. გამოდის, რომ ნამდვილი სოციალისტი ყოფილა გარეული ღვინის ვაჭარი გარსიმოვი, რომელიც რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა არა ერთხელ ჩასვეს ციხეში და დღეს ეს გარსიმოვი ბოლშევიკია.

* * *

„ბრძოლა"-ს რასაკვირველია, ვერ ჩამორჩებოდა „კავკაზსკი რაბოჩი". ცნობილი ფ. მ. იწუნებს ამიერ კავკასიის კომისარიატის დეკრეტს მიწის შესახებ. მაგრამ ფ. მ. ვერ გასცილებია იმ „წუნია დედამთილს", რომელიც ხალხის სიბრძნემ შექმნა. არც ჩვენ გამოვუდგებით პრესაში ამ „ინტრიგიან დედამთილს" ფ. მ. ჩვენ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ბოლშევიკების და კერძოთ ფ. მ. ჩვეულებას: ეს ჩვეულებაა რუსი ჯარისკაცების წინაამდეგ დაბეზღება. „უწინარეს ყოვლისა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამიერ კავკასიის დებულება გამოცემულია სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის გასაბათილებლათო". მკითხველს ვურჩევთ გადაიკითხონ ფ. მ. ეს „დედამთილური" ბეზღვა.

დროებითი ზავის ჩამოგდება ოსმალეთთან

(დელეგატის მოგონება)

II

29 ნოემბერს, ღამის პირველ საათზე, გავემგზავრეთ საგანგებო მატარებლით ოსმალეთის ფრონტისკენ. კავკასიის დელეგაციაში, ჩემს გარდა, შედიოდა ჯარისკაცთა ცენტრიდან ალ. სმირნოვი. გლეხთა ცენტრალიდან არშაკ ჯამალიანი, კავკასიის სამხედრო შტაბიდან პოლკოვნიკი ბერზენგური, ხოლო მეორე წარმომადგენელი შტაბის, გენერალ-მაიორი ვიშინსკი, უნდა დაგვხვედროდა ქ. ერზერუმში. როგორც ექსპერტი, გამოცდილი მოლაპარაკების კითხვაში, თან გვახლდა პოლკოვნიკი ესაძე, სამხედრო ისტორიკოსი. ვიღაცას განკარგულება მოუხდენია, რომ დელეგაციას თან წაეღო რამოდენიმე ბოთლი შამპანური. ამბობდნენ, რომ ეს საჭიროა მოლაპარაკების დამთავრების დროს, უნდა გაუმასპინძლდეთ ოსმალეთის დელეგატებს, რადგანაც მოლაპარაკება ჩვენი სამხედ. საზღვრების შიგ ხდება და ოსმალები ჩვენი სტუმრებიაო. შეიძლება ეს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ დელეგატ-დემოკრატებმა პროტესტი გამოვაცხადეთ ამის წინააღმდეგ და შამპანური თფილისში დავტოვეთ. ჩვენ, დელეგატები, არც ერთი არ ვიცნობდით ერთმანეთს. მხოლოდ სადგურზე მოხდა ეს გაცნობა.

ქალაქ ერზერუმამდე არაფერი თვალსაჩინო არ მომხდარა ჩვენი მგზავრობის დროს, მხოლოდ სამხედრო პირთა შორის იყო დიდი დავა იმის შესახებ, თუ რას მოასწავებს მოლაპარაკების ჩვენი ტერიტორიაზე დანიშვნა. შტაბის პოლკოვნიკი ბერზენგური ამტკიცებდა, (და სამხედრო საქმეების კომისარი დონსკოი, რომელიც შემთხვევით ქ. ერზერუმში მიემგზავრებოდა, მას მხარს უჭერდა), რომ ჩვენ კავკასიის ფრონტზე გამარჯვებული ვართ და ოსმალები ჩვენთან უნდა მოსულიყვნენო. პოლკოვნიკ ესაძეს თან მოჰქონდა ბევრი წიგნები, რომელიც გადასინჯეს, ბევრი ფურცლეს, მაგრამ ისტორიული პრეცენდენტები ერთმანეთის წინააღმდეგ ლაპარაკობდა. მეორე მხრივ დელეგაციას აღელვებდა სანოვაგის საკითხი. ამბობდნენ, რომ ფრონტზე საჭმელი არ იშოვება და თფილისიდან უნდა წამოვეღოთ. თუმცა დელეგაცია უცბათ იქნა არჩეული თფილისში და მან ნახევარი საათი მისცეს სამგზავროთ გამოსაწყობათ, არშაკ ჯამალიანს მაინც გამოუჩენია წინდახედულობა და სხვადასხვა ნაირი საჭმელებით დატვირთულა. მართალია, ჩვენ მას დავცინოდით, მაგრამ მისი საკუთარი სანოვაგით უხვათ ვსარგებლობდით. ამასთან ზოგიერთს შიში ჰქონდა, რომ გზაზე ჩვენს საგანგებო მატარებელს გააჩერებდა ჯარისკაცები და მრავლად ჩამოგვეჯდებოდნენ. მართლაც, ალექსანდროპოლს და ყარსს შუა ერთ სადგურზე ჩვენს ვაგონს მიადგა რამოდენიმე ათეული ჯარისკაცი და მოითხოვა ადგილი. როდესაც მატარებლის უფროსმა აუხსნა მათ ჩვენი მგზავრობის მიზანი, ისინი დიდათ მოხარულნი დარჩნენ და გვისურვეს მონდობილ საქმის კეთილად დაგვირგვინება. ასეთ ჯარისკაცებს ბევრს შევხვდით ერზერუმის გზაზე. ზოგნი ბრუნდებიან ასობით „ოტპუსკიდან" და ფრონტისკენ მიემგზავრებიან. ხოლო ნაწილები, სადაც ისინი მსახურობენ, სახლში არიან წასულნი. ამნაირათ, რუსეთის ჯარი უაზროთ მოგზაურობს. 29 ნოემბერს, საღამოს ცხრა საათზე, სარიყამიშში გადავჯექით ერზერუმის ვიწრო ლიანდაგის მატარებელზე. ამ მატარებელს „კუკუშკას" ეძახიან. ის მეტათ პატარაა. ხალხს ის თითქმის ეცოდება. ხშირათ გაიგონებთ სიტყვებს: საწყალი „კუკუშკა" ვერ აიტანს ამდენს შრომას, ჩქარა ის სულ შესწყვეტს მოძრაობასო. მიუხედავათ ასეთი თანაგრძნობისა, ჩვენი „კუკუშკები" დღითიდღე იქანცება მოძრაობიდან, ხოლო მის შეკეთებაზე არავინ ფიქრობს. ამ მოკლე ხანში მას ბუნებრივი სიკვდილი მოელის. თუმცა ჩვენი „კუკუშკა" პატარაა, მაგრამ ხანდახან საფრთხეში აგდებს მგზავრების სიცოცხლეს. ერზერუმთან ახლოს, დელმართში, ჩვენს მატარებელს მეორე ვაგონი წამოეწია და დაეჯახა. ჩვენი ვაგონი დაზიანდა, მგზავრები უვნებლათ გადარჩნენ.

საღამოს, 30 ნოემბერს ქ. ერზერუმში ვიყავით და, ცოტა დასვენების შემდეგ, კავკასიის დელეგაციამ გამართა თათბირი იმ პროექტის შესახებ, რომელიც უნდა წარედგინა ოსმალეთის დელეგატებისთვის. დავა გამოიწვია პირველად იმ კითხვამ, თუ რამდენი ხნით უნდა განისაზღვროს ჩვენი დროებითი ზავი. სამხედრო პირები ამტკიცებდნენ, რომ უნდა შევკრათ ზავი განსაზღვრული ვადით, სამი ან ხუთი თვითო. ასეთია დროებითი ზავის წესიო. ჩვენ კი ვუმტკიცებდით, რომ აქ ძველი წესი მისატანი არ არის და პოლიტიკური წინდახედულება მოითხოვს უვადო დროებითი ზავის შეკვრასო. დელეგაცია ამ აზრს მიემხრო და შემდეგ ქ. ერზინჯანში ეს მუხლი ოსმალეთის წარმომადგენლებმაც მიიღეს. ამასთან კამათი გამოიწვია შემდეგმა კითხვამ: მიეცეს თუ არა უფლება მშვიდობიან მოქალაქეებს დასახლდნენ იმ ადგილებში, რომელიც მდებარეობს ორივე მხარის სამხედრო საზღვარს შუა (демаркаціонная линія). ერთმა დელეგატმა შიში გამოსთქვა იმის შესახებ, რომ ეს ადგილები ჩქარა დასახლებული იქნება ქურთებით და ამნაირათ სხვა ერს წაერთმევა საშუალება თავის მიწა-წყალს დაუბრუნდესო (სახეში ჰქონდა სომხები). მე პირადათ იმ აზრს ვადექი, რომ მისცემოდა ორივე მხარის გადახვეწილთ დაბრუნებულიყვნენ ნეიტრალურ ტერიტორიაზე. კიდევ მეტი. მისცემოდათ ნება გადახვეწილ აჭარლებს დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ბინაში. დელეგაციამ ეს შეხედულება არ გაიზიარა და მეც დავემორჩილე უმრავლესობას. როგორც მკითხველმა იცის, დაპყრობილ ტერიტორიაზე მოქმედებს კომისარიატი, რომელიც განაგებს ამ კუთხეს. ერთი დელეგატთაგანი მოითხოვდა, რომ ყოფილიყო ხელშეკრულებაში ისეთი მუხლი, რომელიც ხელ-უხლებლათ სტოვებდა დღევანდელ ადმინისტრაციას. ჩვენ, უმრავლესობა, ამას ვერ დავეთანხმებოდით. თუ დროებითი ზავი დიდხანს გაგრძელდებოდა, წარმოსადგენი იყო რომე ცვლილება დღევანდელ მართვა-გამგეობაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია დაპყრობილ კუთხეების კომისარიატთან სათათბირო საბჭოს დაარსება, რომელიც უნდა შესდგებოდეს, როგორც ქურთების, ისე სომხების წარმომადგენლებიდან. ეს ხელს შეუწყობს ამ ორი ერის შორის, ცოტა თუ ბევრათ, ნორმალურ დამოკიდებულების დამყარებას და ჩვენს ადმინისტრაციასაც გაუადვილებს მხარის მართვა-გამგეობას. ამ მოსაზრებით ადმინისტრაციის უცვლელობა უარყოფილ იქნა ჩვენ მიერ. დანარჩენ მუხლებს კამათი არ გამოუწვევია. შემდეგ შევუდექით სამხედრო რუქის შესწავლას. დელეგატებს უნდა სცოდნოდა, თუ სად იდგა ჩვენი ჯარი და რა ადგილები ეჭირა მოპირდაპირეს. ამ უნებლიე გაკვეთილის დროს დელეგატები დიდ გულმოდგინეობას იჩენდა და სხვადასხვა „დაგის" (დაგი თათრულათ მთას ჰქვია) სახელებს მუყაითათ იზეპირებდა. ამ გაკვეთილიდან დღეს კარგათ მახსოვს მხოლოდ შაიტან-დაგის სახელი, რადგანაც ეს მთა მეტათ უხერხული ყოფილა სამხედრო მოქმედებისათვის და მისი მიუვალი მდებარეობის გამო დაურქმევიათ მისთვის ეშმაკის მთა.

პირველ დეკემბერს ერზერუმის შტაბის დახმარებით თბილ ქურქებში გამოწყობილნი გავემგზავრეთ ქ. ერზინჯიანისკენ. შარა-გზა გაფუჭებულია. ძლიერ ხშირათ შეხვდებით ავტომობილებს და ეგრეთ წოდებულ „გრუზოვიკებს", რომელიც დამტვრეული ჰყრია. მათი შეკეთება ადვილი საქმეა, მაგრამ სახაზინო ქონებისთვის ახლა ვინ ზრუნავს. გზის ნაპირებზე წამ და უწუმ შეხვდებით მკვდარ ცხენებს და სხვა შინაურ საქონელს. ტყავს თურმე ქურთები ყიდულობენ 40—50 მანეთად. ეს მთელი შემოსავლის წყაროა იმათთვის, ვინც უვლის ამ საქონელს. ცნობილი ფრანგი მწერალი ანატოლი ფრანსი ამბობს, რომ ყოველივე ომი „აფერა" არისო. ასეთივე ხასიათი აქვს, მისი აზრით, პროგრესიულ მიზნით გამოწვეულ ომსაც. მით უფრო მართალია ა. ფრანსი, რომ თვით სამოქალაქო ომის დროსაც, რომელიც თავისი შინაარსიც ყოველთვის სოციალური ბრძოლის გამომხატველია, ადვილათ ერევიან აფერისტები და თავიანთ ბნელ საქმეებს აკეთებენ. მართალიც ომი თუ გინდ ეს ხდებოდეს სამოთხეში ანგელოზების სხვადასხვა ფრაქციებ შორის, ადვილათ ეგუება აფერისტების ჩარევას, მით უფრო ვერ აცდებოდა ასეთი ელემენტების ჩარევას დღევანდელი ომი, რომელიც ჯოჯოხეთში ხდებოდა.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ერზერუმ-ერზინჯიანის გზა დაავადმყოფებულია, როგორც მთელი რუსეთი. ჩვენი ავტომობილიც ვერ გადურჩა ხიფათს და ერთ ადგილას მაგრათ „ჩაჯდა". ამისთანა შემთხვევებში შოფერები ეტყვიან მგზავრებს „ნახვამდისო" და უნდა უცადო მეორე ავტომობილს. ჩვენი შოფერი არა ჩვეულებრივი პიროვნება აღმოჩნდა. ის, თავის თანაშემწესთან ერთად, ოცდა თუთხმეტ გრადუსიან ყინვაში შეუდგა მანქანის შეკეთებას და ოთხი საათის თავდადებულ მუშაობის შემდეგ შეაკეთა ჩვენი მანქანა და გაყინულმა დელეგაციამ შესძლო იმავე დღეს ერზინჯიანში ჩასვლა.

დილას, ორ დეკემბერს, გავეცანით ადგილობრივ დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლებს და პირველი კორპუსის უფროსს. როდესაც ჩვენ წინ გამოიჭიმა კორპუსის უფროსი, გენერალი... ლიახოვი, მე ბუნებრივად გაკვირვებული დავრჩი. ყველას გაუგონია პოლკოვნიკ ლიახოვის სახელი, სპარსეთის რევოლიუციის ისტორია და მეჯლისის გარეკვა. მე რაღაც არ მჯეროდა, რომ ასეთი „ცნობილი" პიროვნება იდგა ჩემ წინ. ეს არ შეეფერებოდა რუსეთის დღევანდელ ვითარებას. რამოდენიმე დღის განმავლობაში ვაკვირდებოდი ამ ადამიანს ყოველივე მოქმედებას, ვისმენდი მის სიტყვებს და დავრწმუნდი, რომ ეს პიროვნება მაგარი ხასიათისაა და მეტად მამაცი, გაბედული. სამხედრო საქმის ზედ-მიწევნითი ცოდნა ეტყობა. დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ლოიალური დამოკიდებულება აქვს. მიუხედავათ ამისა მე მჯეროდა, რომ თუ გარემოებამ ხელი შეუწყო, მეორე მეჯლისსაც გარეკავს და ამისთვის ბოდიშს არ მოიხდის. მე ერზინჯიანში გავეცანი სხვა სამხედრო პირებსაც, ეგრეთ წოდებულ „მარტის" დემოკრატებს. იმათ პირადად ჩემზედ ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინეს, „დღეს ჩემია, ხვალ სხვისია".

დილის ხუთ საათზე შტაბის შენობას მიადგა ორი ავტომობილი ოსმალეთის დელეგატებით. სად იყო და სად არა ერზინჯიანის ყოველივე კუნჭულიდან გამოვიდა მრავალ რიცხოვანი დემოსი და შემოეხვია ავტომობილებს. ქურთი, სომეხი, ჯარისკაცები, პატარა და დიდი ადვილ გასაგებ ცნობის მოყვარეობით შემოეხვია უცხო სტუმრებს. ოსმალეთის დელეგატებმა სალამი მისცა ერზინჯიანის არეულ დემოკრატიას და ცოტა ძალდატანებით გაიკაფა გზა სამხედრო შტაბის კიბისკენ.

ვიქტორ თევზაია.

(შემდეგი იქნება).

ახალი ამბები

სარიყამიშიდან ამიერ კავკასიის კომისარიატს ატყობინებენ, რომ იქ უწესოება დაწყებულა. ზოგიერთი ჯარისკაცები იტაცებენ სხვადასხვა ნივთებს. არ არის დამცველი რაზმები.

◆ **სად. ძეგამის** მოსამსახურენი ატყობინებენ კომისარიატს, რომ მათი ოჯახების მდგომარეობა მეტათ უნუგეშოა. მოსამსახურენი სთხოვენ კომისარიატს, დაუთმოს მათ საჩქაროთ 15 ვაგონი, რათა მათ შეძლება მიეცეთ ოჯახების თფილისისაკენ გადმოსაყვანათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი იმუქრებიან სამსახურზე თავის დანებებით.

◆ **დუშეთის ქალაქის საბჭო** სალამს უძღვნის ამიერ კავკასიის კომისარიატს, აღიარებს მას ერთად-ერთ კანონიერ მთავრობათ ამიერ კავკასიაში და აუცილებელ საჭიროებათ სთვლის ყველა მის განკარგულებების ასრულებას.

◆ **უკრაინის ცენტრალურ რადის კომისარი** ატყობინებს ამიერ კავკასიის კომისარიატს, რომ ცენტრ. რადა კომისარიატთან თავის რწმუნებულათ ნიშნავს პორუჩიკ სამოილენკოს. რწმუნებულის მოვალეობას შეადგენს დაიცვას ცენტრალ. რადისა და ამიერ კავკასიის კომისარიატს შორის თანხმობა იმ საკითხებში, რომლებიც ამიერ კავკასიაში მცხოვრებ უკრაინელებს—მოქალაქეთ და ჯარისკაცებს შეეხებიან.

◆ **სამხედრო-სამრეწველო** კომიტეტმა შეადგინა განსაკუთრებული კომისია, რომლის მოვალეობასაც შეადგენს ფრონტზე ჯარის მიერ მიტოვებულ ქონებათა მოვლა.

◆ **ჯამაგირების მომატება.** ამიერ კავკასიის კომისარიატმა დაადგინა მიეცეს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთ მომატების სახით 21 ივნისიდან 1 დეკემბრამდის თვიურად 50 მ. თვეში; 1 დეკემბრიდან კი 80 მან. თვიურად. მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ გადადებულია 1,985,880 მანეთი.

◆ **ქუთაისიდან მოსულ ცნობების** თანახმად, იქ ამ ჟამათ სრული წესიერება სუფევს. თუმცა ზოგიერთი ბნელი პირები ცდილობენ წყალის ამღვრევას, „პოგრომების" მოწყობას აპირებენ, მაგრამ ქართულ პოლკის და წითელ გვარდიელების მეოხებით ყოველი მათი ცდა ძირშივე ჩაკლულ იქნა.

◆ **ოთახების რეკვიზიცია.** ქალაქის გამგეობა ახლა მომზადებაში შეუდგება ოთახების რეკვიზიციას თანახმად ქალაქის საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებისა. რეკვიზიციის უფლება ქალაქის გამგეობას ამიერ-კავკასიის კომისარიატმა მიანიჭა.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარმა წინადადება მისცა მილიციის უფროსს, რათა მან მოახდინოს განკარგულება 2 დღის განმავლობაში დაცლილ იქნეს სახლი ბროსსეს ქუჩაზე, სადაც ეხლა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი მოთავსებული და რომელიც საჭიროა კავკასიის სამღვდლო მამულთა კომიტეტის სტატისტიკურ განყოფილებისათვის.

— ამიერ კავკასიის კომისარიატი სთხოვს ქალაქის გამგეობას [illegible] დაჭერილ სასტუმრო „ერზერუმის" დასაკავებლათ, რომელიც კომისარიატის კანცელარიისთვის არის საჭირო.

◆ **დამფუძნებელი კრების თათბირის გარეკვის შესახებ.** თელავის მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭომ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. ანდრონიკაშვილისა, ერთხმათ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სასტიკ გულის წყრომას აცხადებს ასეთი ძალადობის წინააღმდეგ და საჭიროთ სთვლის დაცულ იქნეს დამფუძნებელი კრება ყოველგვარი ზომებით, თუ გინდ ამისთვის აუცილებელი შეიქნეს იარაღის ხმარებაც.

◆ **რესტორანების, კლუბების და სხვა** დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფესიონალური კავშირის გამგეობა აუწყებს როგორც თავის წევრთ, აგრეთვე დაწესებულებათა პატრონებს, რომ თანახმად გადაწყვეტილებისა 1917 წ. 25—26 დეკემბერს და 1918 წ. 1—6 იანვარს მოსამსახურენი არ მუშაობენ.

◆ **კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა** საოლქო („კრაევოი") კონფერენცია მოწვეულია 25 დეკემბრისათვის. საერთო საცხოვრებელ ბინის შესახებ, აგრეთვე კრებების ადგილზე ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება პროფ. კავშირთა საბჭოში (პეტრე დიდის ქ., № 18, ოთახი 24, ყოველ დღე დილის 11—12 ს. და საღ. 7—8 ს.).

◆ **დაკარგული ბავშვი.** მაქსიმე ივანეს ძე რუხაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მასთან იმყოფება 10—12 წლის ვაჟი, ევგენი ალექსანდრეს ძე სეგერუკოვი, რომელიც მატარებელში, № 3 დარჩენილა სად. კარატაპაში. ბავშვის სიტყვით, მამა მისი 1915—16 წ. წ. სარიყამიშში ყოფილა, რის შემდეგ მან არ იცის, სად წავიდა იგი. ბავშვს დედა არა ყავს; წერა-კითხვა იცის. მისი სოფელი ატრადი ყოფილა, ყუბანის ოლქში. ნათესავს შეუძლია მოიკითხოს ამ მისამართით: სადგ. კარატაპა, მაქსიმე ივანეს ძე რუხაძე. რუსულ გაზეთებს სთხოვს გადაბეჭდონ ეს ცნობა.

◆ **პროტესტი.** ჩვენ, თფილისის მოქანდაკე მუშათა ერთი ნაწილი, სხვა ამხანაგებთან ერთად სასტიკ პროტესტს ვუცხადებთ ყველა იმ პირებს, რომლებმაც 25 ნოემბერს მე-5-ე ქართულ პოლკის ჯარისკაცთა მიტინგზე შეურაცხყოფა მიაყენეს დემოკრატიის სასიქადულო ბელადებს—ნოე ჟორდანიას, ჩხეიძეს, წერეთელს და სხვ. დროა საზღვარი დაედვას ამ ვაჟბატონების ასეთ ავყიურ წახნილობას; წინააღმდეგ შემთხვევაში შესაფერ პასუხს მოსთხოვს მათ შეგნებული დემოკრატია. ამხ. მოქნ. განთ მეტრეველი.

◆ **სამგლოვიარო წერილი** მივიღეთ ხარიტონ მანთიძის გარდაცვალების გამო ყარსიდან გ. მახარაძისა და გ. ზამბახიძისაგან.

◆ **გაზეთის გაწერა და სტამბის შესაძენი ფონდი.** ივანე წულაძისაგან მივიღეთ 40 მან. თავისი შვილის შურის გარდაცვალების წლისთვის და ძმის შვილის რომანოზ წულაძის გარდაცვალების ორმოცი დღის აღსანიშნავად. ამ ფულებიდან თანახმად შემომწირველის სურვილისა 4 თვით ჯარის კაცებს გაეგზავნება გაზეთი. დანარჩენი ფული მიემატება პარტიული სტამბის შესაძენ თანხას.

◆ **საარჩევნო ფონდი.** მივიღეთ სად. ყვირილის მოძრაობის მუშებისაგან—171 მ. 55 კ. ყვირილის დეპოსა, სასწავლებლისა და საექიმო განყოფილებისაგან—210 მ. სად. ყვირილისა 23 „ოკოლოდოკიდან"—193 მ. 90 კ. სად. სვირის ყველა დარგის მოსამსახურეთაგან—130 მ., სად. აჯამეთის ყველა დარგის მოსამსახურეთაგან—81 მ. სულ 786 მ. 45 კ. ფოსტის ხარჯები 10 მ. 45 კ. რჩება 776 მ.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 საათზე მოხდება პროფ. კავშირთა საბჭოს კრება. დღის წესრიგი: 1) დელეგატის არჩევა კავკ. პროფ. კავშირთა კონფერენციაზე, 2) მომრიგებელი კამერა და 3) სახელოსნო გამგეობის შესახებ. რადგანაც არჩევნები აუცილებლათ უნდა მოხდეს, სთხოვენ ყველა ამხანაგებს უსათუოთ დაესწრონ და ნუ დაიგვიანებენ.

— დღეს, საღამოს 5 საათზე მესამე სავაჟო გიმნაზიის შენობაში შესდგება საამშენებლო მუშების პროფ. კავშირის საერთო კრება. ვთხოვთ ყველა ამხანაგებს აუცილებლად დაესწრონ. დღის წეს-რიგი: არჩევნები მუშათა დეპუტატების საბჭოში, არჩევნები საოლქო პროფ. კავშირთა კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატისა.

— დღეს, საღამოს 6 საათ. დანიშნულია ელექტრონზე მომუშავეთა გამგეობის და სადგურთა დელეგატების შეერთებული კრება. დღის წეს-რიგში სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შორის არის საკითხი პროფეს. კავშირთა საოლქო კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატის არჩევის შესახებ; კონფერენცია 25 დეკემბერს მოხდება. საჭიროა ყველა წევრების დასწრება.

— საქველ-მოქმედო საზოგადოების მიერ მოწვეული წლიური კრება, რომელიც დანიშნული იყო 29 დეკ. გადაიდო სხვა დროისათვის.

— ხვალ, შაბათს, მეორე სამილიციო ნაწილის მცირე კოლექტივი მეორე კომერციულ სკოლის სადარბაზოში მართავს ლექციას. თემა: 1, ქალთა კითხვა და სოციალიზმი, 2. მიმდინარე კითხვები.

კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა საგანგებო ყრილობა

(მეორე დღე 20 დეკემბერი).

თავმჯდომარეობს ამხ. ნოე რამიშვილი.

სანამ მუდმივ პრეზიდიუმის არჩევას შეუდგებოდა, ყრილობა ოვაციებითა და ტაშისცემით მიესალმა ამხ. ისიდორე რამიშვილს, რომელიც ისიც იყო შემოვიდა დარბაზში. ისიდორემ თავის მხრით მისასალმებელი სიტყვით მიმართა ყრილობას და სთქვა: მთელი ტრაგიზმი თქვენი ბრძოლისა მდგომარეობს იმაში, რომ თქვენს წინააღმდეგ იბრძვის არა ბურჟუაზია, არამედ—თქვენ თვით ებრძვით ერთი მეორეს, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ მალე მოეღება ბოლო ძმათა შორის სისხლის ღვრას, მალე მოხდება გაერთიანება.

ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ნოე ჟორდანია. მის არჩევას ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდენ. მიღებულ იქნა წინადადება თვითეულმა ფრაქციამ წამოაყენოს პრეზიდიუმში თავმჯდომარის თითო ამხანაგი და ერთი მდივანი. მენშევიკებმა დაასახელეს ამხ. ნოე რამიშვილი (თავმჯდომარის ამხანაგათ) და მარსაგოვი (მდივნათ), სოც. რევოლ. საკიანი (თავ. ამხ.) და სერაფი (მდივ.), დაშნაკელებმა არაქელიანი (თავმჯდ. ამხ.) და ბუჯანიანცი (მდივნათ), ბოლშევიკებმა, ბაქოს დელეგატებმა და „მუსავატმა" განაცხადეს, ჩვენ მონაწილეობას არ მივიღებთ პრეზიდიუმის წევრთა არჩევნებში, სანამ არ იქნება განხილული ჩვენი განცხადება. ბაქოს დელეგატების განცხადება კი შემდეგში მდგომარეობს:

როგორც მკითხველს მოეხსენება, თითო დელეგატს ირჩევდა თვითეული 500 წევრი, ბაქოში კი 2 ათას წევრს ამოურჩევია თითო დელეგატი. სულ ყოფილა არჩეული 160 დელეგატი, მაგრამ ყრილობაზე გამოუგზავნიათ მხოლოდ 40 კაცი. ასევე მომხდარა ზოგიერთ სხვა ადგილებშიაც, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში. ამიტომ ბაქოელები მოითხოვენ: 1) ხელახლათ შეცვლილი ყრილობის შემადგენლობა ისე, რომ თვითეული დელეგატი იყოს წარმომადგენელი 2 ათას წევრის; 2) თუ ეს წინადადება არ გავა, მაშინ თვითოეულ ბაქოელ დელეგატებს უნდა მიეცეს 4 ხმა, ვინაიდან ჩვენ გვერგებოდა 160 ადგილი, მაგრამ ნივთიერ სიძვირისა და ადგილობრივ მომუშავეთა სიმცირის გამო ყველანი ვერ წამოვიდენ ყრილობაზე დასასწრებათ; 3) თუ არც ერთ ჩვენ წინადადებას არ მიიღებთ, ჩვენ არ ვიმუშავებთ ყრილობაზე და დავრჩებით მხოლოდ ინფორმაციისათვის, სანამ პასუხს მივიღებდეთ ბაქოს მუშათა საბჭოსაგან, ვინაიდან ამ საბჭომ მოგვცა ჩვენ ასეთი დავალებაო. ასეთივე განცხადებით გამოვიდენ ნოვოროსიისკისა და ეკატერინოდარის დელეგატები, თუმცა მათ არ ჰქონდათ ეს დავალებული თავიანთ საბჭოების მიერ.

ბაქოელ დელეგატების განცხადებამ დიდი კამათი გამოიწვია. ბაქოელი დელეგატი ჩერვანინი აცხადებს, რომ ბაქოში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა საბჭოს წევრთა არჩევნები და დღევანდელი საბჭო ვერ გამოხატავს ყველა მუშების ნებასო. მეორე ბაქოელი დელეგატი სახნოვსკი აქვეყნებს პროტესტს, რომელიც განუცხადებიათ მენშევიკებს ბაქოს საბჭოში. პროტესტანტებს არჩევნები არ მიაჩნიათ კანონიერათ, ვინაიდან მონაწილეობა არ მიუღია ბევრ მენშევიკურ რაიონებსო. ილ. ქარცივაძე (ს. რ.) აცხადებს სრულიად შეუძლებელია ერთ დელეგატს მიეცეს ოთხი ხმა ეს არსად არ გაგონილაო და მოითხოვს, რადგანაც ყრილობაზე ყველანი არ არიან წარმომადგენილი, დაერქვას ყრილობას საგანგებო ყრილობა და არა უგვიანეს თებერვლისა მოწვეულ იქნას მეორე ყრილობა.

ნოე ჟორდანია. ეს ყრილობა მოწვეულია თვით ბაქოს საბჭოს ულტიმატური მოთხოვნის თანახმათ. ბაქოელები მოითხოვდენ ყრილობის მოწვევას 10 დეკემბრისთვის. თვით შაუმიანმა მოიტანა ამის განცხადება ბაქოდან. ჩვენ გვინდოდა ყრილობა იანვარში მოგვეწვია, მაგრამ დავუთმეთ ბაქოელებს, რომ დამოკიდებულება არ გამწვავებულიყო და გადავსწყვიტეთ ყრილობის მოწვევა 17 დეკემბრისთვის. წარმომადგენლობის ნორმის საკითხის გადაჭრაში მონაწილეობა მიიღეს ბოლშევიკებმაც და ყველა შეთანხმდა 500-ზე. მათ დღემდე არ განუცხადებიათ პროტესტი ამის წინააღმდეგ, არ განუცხადებია პროტესტი აგრეთვე არც ერთ საბჭოს. მხოლოდ დღეს აცხადებენ პროტესტს ბოლშევიკები. ასე ყოველთვის შეუძლებელია ყრილობის მოწვევა. ჩვენ ვყოფილვართ ყრილობებზე პეტროგრადში, საზღვარგარეთ, მაგრამ ასეთი განცხადება არსად არ გვსმენია, ვინაიდან ყოვლად შეუძლებელია, რომ ყრილობაზე ყველა იყოს წარმოდგენილი. ბაქოელებს შეეძლოთ თავის მანდატები გადმოეცათ თფილისელ ამხანაგებისათვის. ჩვენ ასე ვშვრებით, ყველანი ხომ ვერ წავალთ პეტროგრადში! აქ მიგვითითებენ ინგლისურ სისტემაზე. ეს სისტემა ტრედ-იუნიონისტების სისტემაა, რომლებიც მუშათა კლასის მარჯვენა ფრთას შეადგენენ და აქ სურთ მიბაძონ მათ. ჩვენც გვაქვს საქმეები. თუ ბაქოელები ფიქრობენ, რომ მარტო მათ აქვთ საქმეები, ძლიერ ცდებიან. მათ მიერ წამოყენებული სისტემა, ეს ტრედ-იუნიონისტების სისტემაა, ჩვენ კი ტრედ-იუნიონისტები არა ვართ, ჩვენ ვართ რევოლუციონერები, რევოლუციონურ საბჭოების წარმომადგენლები.

ამ საკითხის გარშემო დიდხანს გაგრძელდა კამათი. ყრილობის უმრავლესობა უმტკიცებდა ბაქოელებს, რომ სხვა საბჭოებსაც შეეძლოთ მეტი დელეგატების გამოგზავნა, რომ დემოკრატიულ პრინციპს ფეხქვეშ გათელავს იქნება ერთი დელეგატისთვის რამდენიმე ხმის უფლების მიცემა და სხ. და სხ. სხდომა ორჯერ შესწყვიტეს რამდენიმე წუთით, რომ ფრაქციებს მისცემოდა მოლაპარაკების საშუალება. შეთანხმება მაინც ვერ მოხდა, ბაქოელები მტკიცეთ იდგენ თავის მოთხოვნილებაზე.

ამ. **ნოე ჟორდანია** აცხადებს ფრაქციის სახელით, რომ მოწვეულია სამართლიანათ, იგი ჩვეულებრივი ყრილობაა. ბოლშევიკები და ჩრდილოეთ კავკასიის დელეგატები გუშინ არ გვიყენებდენ ულტიმატუმს, მათ მოგვთხოვეს მხოლოდ დაგვეცადა ბაქოელ დელეგატებისათვის. ჩვენც წავედით დათმობაზე და გუშინ არ ავირჩიეთ მუდმივი პრეზიდიუმი, დღეს კი ბოლშევიკები და ჩრდილოეთ კავკასიის დელეგატები ბაქოელებთან ერთად გვიყენებენ ისეთ მოთხოვნილებას, რომელიც არ აქვთ მათ დავალებული თავიანთ ამომრჩევლების მიერ, აქ ჩვენ ვხედავთ ყრილობისადმი უნდობლობას... ჩვენ მივდივართ კიდევ კომპრომისზე და მზათ ვართ ვცნოთ ყრილობას საგანგებო ყრილობა, თუ ბოლშევიკები დარჩებიან და მონაწილეობას მიიღებენ მუშაობაში.

ყრილობამ უარყო ბაქოელების მოთხოვნილებები და გამოაცხადა თავის თავი საგანგებო ყრილობათ. ბაქოელები ამითაც არ დაკმაყოფილდენ და განაცხადეს,—სანამ პასუხს არ მივიღებთ ბაქოდან, ჩვენ მაინც მივიღებთ მონაწილეობას ყრილობის მუშაობაშიო, მხოლოდ ინფორმაციისათვის დავრჩებით აქაო.

ამის შემდეგ მოხდა პრეზიდიუმის წევრთა არჩევნები. მენშევიკების მხრით თავმჯდომარის ამხანაგათ აირჩიეს ამხ. ნოე რამიშვილი, მდივნათ—მარსაგოვი. დაშნაკელების—ა. ნალჩაჯიანი (თავმჯდ. ამხ.) და ნაგაზიანი (მდივ.). ს. რევ—ებმა განაცხადეს, ჩვენ პრინციპიალურათ მომხრე ვართ ახლა მონაწილეობა მივიღოთ პრეზიდიუმის არჩევნებში, მაგრამ ვინაიდან ჩვენი კანდიდატი ბაქოელია, ჯერ ჯერობით თავს ვიკავებთ, სანამ ბაქოდან მოვიდოდეს პასუხიო, სხვა ფრაქციებს თავის კანდიდატები არ წამოუყენებიათ, ბაქოს ერთი დელეგატი მოითხოვს ყრილობამ გაარჩიოს ბრალდება, რომელიც ბაქოს ბოლშევიკებმა წამოაყენეს ამიერ კავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ, ვითომ კომისარიატს ვაგონებით ტყვია-წამალი გაეგზავნოს კალედინისათვის, **ნოე ჟორდანია**: ეს ვაგონები აღმოვაჩინე მე. ბოლშევიკებმა პირველათ ჩვენგან გაიგეს ამის შესახებ ცნობა. ამიერ კავკასიის კომისარიატს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამ ვაგონებთან. თუ გსურთ, მობრძანდით და ჩვენ გიჩვენებთ დოკუმენტებს. სიცრუეა, ვითომ ამიერ კავკასიის კომისარიატი იყოს ამაში დანაშაული, ეს ნამდვილი პროვოკაციაა.

ერთი ბოლშევიკის განცხადებაზე,—თქვენ კი არა ჩვენ აღმოვაჩინეთ ის ვაგონებიო, ნოე ჟორდანია უპასუხებს: აქ ლაპარაკობენ ისეთ საგანზე, რომლის შესახებ არავითარი ცნობა არა აქვთ ალბათ. ეს პატრონები იგზავნებოდა გეორგიევსკში, რომლის არსენალი ბოლშევიკების ხელშია. და ფიქრობენ კიდეც, რომ ეს პატრონები გაგზავნეს ბოლშევიკებმა ალექსანდროპოლიდან ან სხვა ადგილიდან. პატრონები იგზავნებოდა ბოლშევიკების ბანაკში. (ტაში) ამიერ კავკასიის კომისარიატს კი არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამ საკითხთან.

მიღებულ იქნა წინადადება ფრაქციათა წარმომადგენლებისაგან შესდგეს საგანგებო კომისია, რომელიც გამოარკვევს ამ საქმეს. კომისია შეუდგება მუშაობას, როცა ბაქოელი დელეგატები მიიღებენ პასუხს ბაქოდან და შეძლება მიეცემათ მონაწილეობა მიიღონ ყრილობის მუშაობაში.

შემდეგი სხდომა დაიწყება ნოე ჟორდანიას მოხსენებით მიმდინარე მომენტზე.

ვენ—სონ

გუშინდელ ანგარიშში შეცდომით იყო ნათქვამი: ყრილობამ პატივი სცა ფეხზე ადგომით გარდაცვალებულ კიტა აბაშიძის ხსოვნასო, ნამდვილათ კი, კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებული ამხანაგის, კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოს ცენტრის წევრის ხიმონ პაიჭაძის ხსოვნას.

კავკასიის ჯარის დელეგატთა მე-2 ყრილობა

(მეხუთე დღე, 15 დეკემბერი).

თავმჯდომარეობს ქავთარაძე. ყრილობა განაგრძობს ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ საკითხის გარჩევას. უკანასკნელ ხანებში იქ მომხდარ ამბების შესახებ მოხსენებას აკეთებს კავკასიის ჯარის საბჭოს წარმომადგენელი თერგის ოლქში ზვონარიოვი. მომხსენებლის აზრით, მომხდარ ამბებს ხელი შეუწყო უმთავრესათ ორმა მიზეზმა—პოლიტიკურმა—ყაზახთა და ჩეჩნებს შორის დემოკრატიულ ორგანიზაციების უქონლობამ და ეკონომიურმა, — სადგილ-მამულო დამოკიდებულებათა სირთულემ. მთიულები თერგის ოლქში მცხოვრებთა უმიწაწყლო ნაწილათ ითვლება, ადგილობრივ ყაზახებს კი ბევრი მიწები აქვთ. ასეთმა მდგომარეობამ გამოიწვია დამოკიდებულების გამწვავება, როდესაც დადგა საკითხი მიწის საკითხის გადაჭრის შესახებ. ყველაზე უფრო გამწვავებული მდგომარეობა ხასავ-იურტის რაიონში იყო, სადაც მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას გადმოსახლებული რუსები შეადგენენ მდგომარეობის გამწვავებას ხელს უწყობდა რკინის გზის დასაცველათ აქ დაბანაკებული ჯარი, რომელიც სრულებით არ იცნობდა ადგილობრივ პირობებს და მთიულებს უყურებდა, როგორც მტაცებლებს. მხოლოდ უკანასკნელ დროს გამოჯანსაღდა ცოტათი მდგომარეობა, როდესაც აღნიშნულ რაიონში მილიცია შეადგინეს და ჯარიც უკანასკნელთან ერთად მოქმედებდა.

რკინის გზის ლიანდაგის დასაცველათ დაყენებული ჯარიც ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას. მოდარაჯე როტები ხშირად შედიოდენ მთიულთა სოფლებში და დამსჯელ რაზმების როლს კისრულობდენ. პეტროვსკის გარნიზონი, რომელსაც წესრიგი უნდა დაეცვა ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარის გავლის დროს, არავითარ ზომებს არ იღებდა თავის მოვალეობის ასასრულებლათ. ამიტომ ზოგიერთი ეშელონები მოურიდებლათ აკავებდენ ამიერ-კავკასიაში მიმავალ პურით დატვირთულ ვაგონებს. ასეთ პირობებში რკინის გზის დაცვა ადგილობრივ მცხოვრებთათვის—ყაზახებსა და ჩეჩნებისთვის უნდა ჩაებარებინათ, მით უმეტეს, რომ ასეთმა ნაბიჯმა უკვე გამოიღო დადებითი ნაყოფი ყუბანის ოლქში, მაგრამ გროზნოში მომხდარმა ამბებმა ამასაც ხელი შეუშალეს. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ფაქტიურათ ყაზახებსა და მთიულებს შორის მხოლოდ ერთად ერთი ორგანიზაცია—კავკასიის ჯარის საბჭოს დელეგაცია აწარმოებდა დადებით მუშაობას, რაც რასაკვირველია, საკმაო ნაყოფიერი არ იქნებოდა. ამის გამო თერგის ოლქში ხშირად ხდებოდა სამხედრო ნაწილებისათვის იარაღის აყრა, რასაც ხელს ის გარემოებაც უწყობდა, რომ თვითონ ჯარიც არ უწევდა მაინც და მაინც წინააღმდეგობას. ჯარისკაცებს სახლებში მიეჩქარებოდათ. დასასრულ მომხსენებელი იწონებს საქმის გამოსარკვევათ დელეგაციის გაგზავნას და საჭიროდ სთვლის იქაურ მცხოვრებთ საფუძვლიანათ განემარტოს, რომ აქედან გაგზავნილი ჯარი მიდის არა მათ დასასჯელათ, არამედ—სახსნელათ, დაბოლოს, რადგანაც ჯარის დემობილიზაცია აუცილებელია, მომხსენებელი აღნიშნავს ადგილებზე მუშათა და გლეხთაგან მილიციის შექმნის საჭიროებას.

რიგ გარეშე განცხადებას აკეთებს მუღანის ველიდან მოსული დელეგაცია. დელეგაცია ითხოვს, რათა მუღანში გაგზავნილ იქნას ჯარი, რომელიც მცხოვრებლებს დაიცავს სპარსელ ყაჩაღების—შახსევანების თავდასხმიდან. ზოგიერთი ბოლშევიკები მოითხოვენ გაგზავნილ იქნას მუღანში ყაჩაღებთან საბრძოლველათ ქართ. და სომეხთა პოლკები. ყრილობა ავალებს პრეზიდიუმს იზრუნოს შერეულ რაზმის შედგენაზე, რომელიც გაიგზავნება მუღანში წესრიგების დასამყარებლათ.

ამის შემდეგ იხსნება კამათი ზვონარიოვის მოხსენების გარშემო. **დ. დონსკოი** ეხება ჩრდილო კავკასიის და ამიერ კავკასიის მთავრობათა დამოკიდებულებას და დაასკვნის, რომ ამიერ კავკასიის მთავრობათა ენერგიულმა და მიზანშეწონილმა ნაბიჯებმა ნიადაგი გამოაცალეს ჩრდილო კავკასიის ყაზახებთა შორის კარაულოვის გავლენას. შემდეგ დონსკოი ეხება შაუმიანის „მხილებას" და ნათლად ჰფენს იმ ფაქტს, რომლის გარშემო ბოლშევიკებმა მთელი აურ-ზაური ასტეხეს. ის ამბობს, რომ თოფები და პატრონები ეგზავნებოდა საარტილერიო კომისიას, რომელშიაც სხვებთან ერთად ბოლშევიკებიც შედიან, ყოველ შემთხვევაში, დანიშნული გამოძიება გამოაშკარავებს სინამდვილეს—აღნიშნავს ორატორი.

ამხ. ალ. ლომთათიძე უთითებს ახალ, რევოლუციისთვის უცნობ ბოლშევიკების ჟარგონზე—„რუსები", „ჩეჩნები" და სხვა და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ბოლშევიკების პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს ნაციონალურ შუღლის გამწვავებას. ორატორი მიუთითებს ყრილობას დადებით მუშაობის საჭიროებაზე, ვინაიდან პირველ და მეექვსე კორპუსების ფრონტიდან წასვლით ამიერ-კავკასიის მშვიდობიანობას დიდი საფრთხე მოელის. კამათის დასრულების შემდეგ კენჭს უყრიან ორ რეზოლიუციას: ბოლშევიკებისას და გაერთიანებულ სოც. დემ. და ესერებისას. ყრილობა იღებს 179 ხმით 164 წინააღმდეგ მეორე რეზოლიუციას (7 თავი შეიკავა).

(მეექვსე დღე)

თავმჯდომარეობს ბეგზადიანი. კავკასიის ჯარის საბჭოს წარმომადგენელი ა. სმირნოვი აკეთებს ვრცელ მოხსენებას ოსმალეთის ფრონტზე მოლაპარაკების საკითხის შესახებ (მოხსენება დია სხდომაზე ხდება; მხოლოდ მომხსენებელს კრება აძლევს წინადადებას, ნუ ილაპარაკებს ისეთ საგნებზე, რაც საიდუმლოებას შეადგენს). მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მოლაპარაკების ხანგრძლივობის მიზეზი ორი იყო, ერთი მხრივ, გაიგეთ თუ არა, რომ მოლაპარაკება იწყება, ჯარი არ იცდიდა ფრონტზე და დაჟინებით ითხოვდენ ფრონტის დატოვებას; მეორეს მხრივ ოსმალებმა ყველაფერი იცოდენ, როგორც ჩვენი მდგომარეობის შესახებ, ისე ბრესტში მიღებულ მოლაპარაკების პირობებზე. ჩვენ დელეგატებს უნდოდათ მოლაპარაკებას საფუძვლათ დაედებოდა ის პროექტი, რომელიც ჩვენი მთავრობიდან ქონდათ მიღებული; ოსმალები კი ხელმძღვანელობდენ ბრესტის (დასავლეთის ფრონტი) მოლაპარაკების დებულებებით.. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ოსმალებს ნაკლები ქონდათ სურვილი ჩვენი დელეგატების დემოკრატიულ პროექტისთვის ანგარიში გაეწიათ. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენმა დელეგატებმა მაინც შესძლეს მიეღებინებიათ ოსმალებისთვის ხელშეკრულების ისეთი პირობები, რომელიც ოსმალეთის ფრონტზე მიღებულ ხელშეკრულებას უფრო მეტი დადებითი ღირებულებას აძლევს, ვინემ ბრესტისას აქვს. მომხსენებლის აზრით, ოსმალებთან მოლაპარაკებიდან გამოირკვა, რომ ისინი არ აძლევენ დიდ მნიშვნელობას ბრესტის ხელშეკრულებას...

დასასრულ, მომხსენებლის საჭიროთ მიაჩნია აღნიშნოს ის უპირატესობანი, რომელიც ჩვენს ხელშეკრულებას აქვს ბრესტის ხელშეკრულებასთან შედარებით და რომელსაც ბოლშ. ნაზარეტიანმა გუშინ არავითარი ყურადღება არ მიაქცია (ხმა: „ჩვენ არ ვიცოდით!"). პირველი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ შერიგება გაგრძელდება არა განსაზღვრულ დრომდე, როგორც ეს ბრესტის ხელშეკრულებაშია აღნიშნული, არამედ—საბოლოო ზავის ჩამოგდებამდე; მეორე—სამხედრო მოქმედების დაწყების შესახებ ცნობა უნდა აცნობოს მოწინააღმდეგეს 14 დღის წინ და არა 7 დღის; როგორც ეს დასავლეთ ფრონტზეა. ამასვე უნდა დაემატოს ის გარემოება, რომ დას. ფრონტზე სისრულეში მოდის ყველა ის სამხ. ბრძანებები, რომლებიც ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე გამოიცა; ოსმალეთის ფრონტზე კი მხოლოდ ის ბრძანებები, რომლებიც 2 დეკ. საღამოს 6 საათამდის იქნა გამოცემული (მოლაპარაკების დაწყების დრო).

ბოლოს ბოლშევიკები წერილობით ეკითხებიან მომხსენებელს,—ქონდა დელეგაციას რაიმე დამოკიდებულება კრილენკოსთან თუ არა. მომხსენებელი უპასუხებს, რომ დელეგაციას პრაპორჩიკ კრილენკოსთან არავითარი დამოკიდებულება არ ქონებია (ტაში ცემა ხალხში და ქანდარაზე).

რუსეთის ამბები

ბოლშევიკების მოქმედებით აღშფოთებულ ჯარისკაცის წერილი. სრულიად რუსეთის საარჩევნო კომისიის ჩრდილოეთის ფრონტის წარმომადგენელმა დია წერილით მიმართა ყველა მუშებს და ჯარისკაცებს. ამ წერილში ის ურჩევს მუშებს და ჯარისკაცებს არ დაუჯერონ იმ ვაჟბატონებს, რომლებიც ატყუებენ იმ ჯარისკაცებს და მუშებს, რომლების წყალობით მათ ხელში ჩაიგდეს ძალა-უფლება. არ დაუჯერონ ბოლშევიკების მთავრობას, რომელიც უსირცხვილოდ ყალბ ხმებს ავრცელებს დამფუძნებელ კრების და საარჩევნო კომისიის შესახებ. მათ ერთი ფაქტი არა აქვთ ხელში იმის დამამტკიცებელი, რომ საარჩევნო კომისიას არჩევნების დროს რაიმე სიყალბე ჩაედინოს. სრულიად რუსეთის საარჩევნო კომისიას სდევნის სახალხო კომისარების საბჭო მარტო იმისთვის, რომ იქ ყველა ბოლშევიკები არ არიან. მაგრამ განა თქვენ, მუშებო და ჯარისკაცებო, შეგიძლიათ მოითმინოთ და აიტანოთ ბოლშევიკების მიერ ასე თქვენი დამცირება და მასხრათ აგდება? ვერ დავიჯერებ. და თუ შეგიძლიათ, მე თავისუფლების და მშვიდობიანობის გულით სწყურვალი, მე სულით და სისხლით თქვენი ნათესავი, მე მათხოვარა გლეხი, მე მუშა, მე ბოგანო პროლეტარი, და დღეს ჯარისკაცი, ვფიცავ დავკარგავ თქვენში რწმენას, დავკარგავ რევოლიუციის იმედს, დავწყევლი ჩემი გაჩენის დღეს, იმ დღეს, როდესაც მე პირველად თვალები გავახილე და დავინახე, რომ უბედური რუსეთი გონებას ჰკარგავს და მასთან ერთად საკუთარ ბედნიერებასაც.

მდგომარეობა როსტოვში. ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში მუშაობა დაიწყეს. როსტოვში ყოველ დღე მოდიან ყაზახთა ჯარები. ქალაქის განაპირა ყაზახთა ძლიერი დამცველი რაზმი დგას და ქალაქს იცავს. ყაზახები იცავენ აგრეთვე როსტოვის სადგურს და ქ. ნახიჩევანის ნავთსადგურს, მატარებლების მოძრაობა აღადგინეს. 6 დეკემბერს კალედინის განკარგულებით გაანთავისუფლეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტ. საბჭ. ყველა წევრები, რომლებიც დაატუსაღეს როსტოვის აღების დროს. სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის დაჭერილი წევრები ნოვოჩერკასკში გაგზავნეს.

ყაზახები მაღაროებს თავს ესხმიან. ვორონეჟიდან იტყობინებიან, რომ ყაზახები ხშირათ თავს ესხმიან მაღაროებს. 7 დეკემბერს ღამით მაკეევის სამთამადნო ოლქში მივიდა ყაზახთა რაზმი, დაატუსაღა ამ ოლქის სამადნო კომიტეტის წევრები, ხელში ჩაიგდეს ვოლგის ნაპირის ქარხნებისათვის გასაგზავნათ დამზადებული ქვა-ნახშირი, მუშებს დახვრეტით დაემუქრენ და ვაგონები დაატვირთვინეს როსტოვში, ნოვოჩერკასკში და ტაგანროგში გასაგზავნათ. ყაზახები იტაცებენ ორთქლმავლებს. დასავლეთიდან დონისკენ ყაზახთა ჯარები მოდიან. როსტოვის ახლო სადგური ყაზახების ხელშია.

ირბიტის დარბევა. პეტროგრადში ცნობა მიუღიათ, რომ წითელ გვარდიელებს და ჯარისკაცებს გაუნადგურებიათ ქ. ირბიტი. გადასწვეს ყველა [illegible] და მრავალი სახლი. დარბევა იქიდან დაიწყო, რომ გასტეხეს არყის საწყობი და [illegible] ვას გადარჩა ხაზინა, ფოსტა და სატუსაღო, რომლებსაც აფიცრები იცავდენ. 27 ნოემბერს ეკატერინბურგიდან მოვიდა 300 ჯარისკაცი, რომლებმაც ძლივს აღადგინეს წესიერება. ქუჩაში პატრულები დადიან, საღამოს 7 საათიდან სახლებიდან გამოსვლა აკრძალულია.

მოსკოვის გაზეთების დადგენილება. ბოლშევიკების მთავრობამ მოსკოვში შემოიღო წინასწარი ცენზურა და ყველა გაზეთებს დაავალა წინდაწინ წარუდგინონ დასაბეჭდი მასალები განსახილველათ. ამის გამო გარდა ბოლშევიკების გაზეთებისა ყველა გაზეთების წარმომადგენლებმა კრება გამართეს და დაადგინეს არ დაემორჩილონ სამხედრო ცენზურას და არ გაუგზავნონ წერილები გასასინჯათ.

მუშების დელეგატები სმოლნი ინსტიტუტში. პეტროგრადში ობუხოვის სარაიონო საბჭომ დაატუსაღა ინგლისელის ქარხნის დირექტორი პატრიკეევი, რომელიც მხოლოდ ერთი თვე იყო ამ თანამდებობაზე. არავითარი ბრალდება არ წაუყენეს დატუსაღების დროს, ამ ამბავმა ისე აღაშფოთა მუშები, რომ მათ ხელათ კრება გამართეს, აირჩიეს 45 კაცისაგან დელეგაცია, გაგზავნეს სმოლნი ინსტიტუტში და დაავალეს, არ წამოსულიყვნენ იქიდან მანამდე, სანამ პატრიკეევს არ გაანთავისუფლებენ ან და არ გააცნობენ თუ რას აბრალებენ მას. დელეგაციამ დიდხანს ვერ გაიგო სად იყო დატუსაღებული ან რას აბრალებდენ და ელოდენ ბოლშევიკების მთავრობის პასუხს.

ახალი რესპუბლიკა. დაარსდა ახალი რესპუბლიკა, მაგრამ შორს სადმე კი არა, თვით პეტროგრადში. ამ დღეებში პეტროგრადს გამოეყო ერთი უბანი, ვასილიევსკის კუნძული და დამოუკიდებელი რესპუბლიკა გამოაცხადა. იქ დაბანაკებულ ფინლიანდიის პოლკის კომიტეტმა „რევოლიუციონური ბრძანება" გააკრა ქუჩებში, რომლიდანაც სჩანს, რომ კომიტეტი კისრულობს ახალ რესპუბლიკის მთავრობას. ეს ახალი მთავრობა აცხადებს, რომ პეტროგრადში დაიწყო ლოთობა და დარბევა. ბოლშევიკების მთავრობამ ვერ შესძლო საჭირო ზომების მიღება და იძულებული ვართ ცალკე რესპუბლიკათ გამოვეყოთ პეტროგრადს და ჩვენი რაიონი თვით ჩვენ დავიცვათო.

ომი უკრაინელებსა და ბოლშევიკებს შორის. ხარკოვიდან პირდაპირი მავთულით იტყობინებიან პეტროგრადში: ჩვენი გუბერნია ბოლშევიკების და უკრაინელების ჯარების ბრძოლის ასპარეზათ გადაიქცა. ხარკოვში ყოველ დღე მოდიან უკრაინელთა ჯარები. 6 დეკემბერს ხარკოვიდან 117 ვერსზე უკრაინელთა და ბოლშევიკებ შორის მოხდა ბრძოლა. ამ ბრძოლაში დაიხოცა 700 კაცი. დროებით ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს. პოლტავიდან მაშველი ჯარები მოსდით უკრაინელებს, სადგურ კაზატინთან უკრაინელებმა იარაღი აჰყარეს ბოლშევიკების პოლკს. აქ უკრაინელებს დიდძალი ჯარი ჰყავთ. დასავლეთ ფრონტიდან კიევისკენ მოდის ბოლშევიკების ჯარი. უკრაინელები ენერგიულათ ემზადებიან მათ დასახვედრათ. რკინის გზის ადმინისტრაცია დაიბნა და არ იცის რა ქნას. კიევიდან განკარგულება მისცეს რკინის გზის ლიანდაგი აჰყარონ.

სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი ორათ გაიყო: ბოლშევიკები და უკრაინელები. ხარკოვში მყოფი ყველა არა ნაციონალური ჯარები ბოლშევიკებისაკენ გადავიდენ. დაიჭირეს რკინის გზის ტელეგრაფი, ფოსტა, სამხრეთ რკინის გზის სამმართველო და ტელეფონის სადგური. ქალაქში შიშიანობაა, კუპიანსკიდან, ვოლჩანსკიდან და სუმიდან ხარკოვში მოდიან ბოლშევიკების ჯარები. მთელ გუბერნიაში ბოლშევიკებსა და უკრაინელებს შორის დამოკიდებულება მეტად გამწვავდა. ხარკოვიდან კიევში წაიყვანეს უკრაინელთა ყველა ჯარები. ვოლჩანსკიდან ათ ვერსზე მოხდა ბრძოლა, ბოლშევიკები დამარცხდენ. კიევისაკენ ყოველ დღე მიდიან ჯარები.

დამფუძნებელი კრება და გლეხები. რუსეთის სხვადასხვა გუბერნიიდან თავრიდის სასახლეში მივიდენ გლეხები. ეს გლეხები აურჩევიათ თავიანთ თანამემამულეებს და დაუვალებიათ წადით პეტროგრადში და დაიცავით დამფუძნებელი კრებაო. გლეხების ასეთი გადაწყვეტილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ სოფლებში ხმები გავრცელებულა ბოლშევიკები დამფუძნებელ კრების გარეკას აპირებენო. „თუ ჩვენს შვილებს, ჯარისკაცებს არ ესმით რა მნიშვნელობა აქვს დამფუძნებელ კრებას მთელი ქვეყნისთვის, ჩვენ ვასწავლითო", ამბობენ თავრიდის სასახლეში მისული გლეხები.

პეტროგრადის გარნიზონი და ბოლშევიკები. სმოლნი ინსტიტუტში ძლიერ შეშინებული არიან, რომ პეტროგრადის გარნიზონში რაღაც ამბები ხდება. გარნიზონის მრავალ ნაწილებში ბოლშევიკების მთავრობის განკარგულებანი სისრულეში აღარ მოჰყავთ. პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბში მოხდა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სახალხო კომისარებმა.

ამ თათბირზე გამოირკვა, რომ უკანასკნელ ხანებში პეტროგრადის გარნიზონი „არა კეთილ-საიმედო" გახდა. ამის გამო აზრი დაიბადა გაიყვანონ გარნიზონი პეტროგრადიდან

და ნაწილები კალედინის და რადას წინააღმდეგ გაგზავნონ. საუზენაესო თათბირზე დამსწრე ჯარების ნაწილების წარმომადგენლებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ ბოლშევიკების მთავრობის ეს კეთილი განზრახვა საქმით სისრულეში მოიყვანონო. მიმართეს ერთად ერთ უკანასკნელ საშუალებას—გამართონ ჯარებში მიტინგები იქნებ ნაცვალ დემაგოგიურ საშუალებით შესძლონ მათი ისევ გადმობირება.

ორმოც უკრაინელ დეპუტატების დატუსაღება. უკრაინელთა სამხედრო რევოლიუციონურ შტაბში წითელ-გვარდიელები ჩასაფრდნენ და დაატუსაღეს ორმოცი უკრაინელი დეპუტატი. ყველა იგინი ციხეში გაგზავნეს. გზაში ორი მათგანი დარაჯებს გაექცათ.

ფსკოვში უკრაინელთა რადის განადგურება. მიტინგის შემდეგ ბოლშევიკები შეიჭრნენ უკრაინელთა რადის ბინაზე და სულ გაანადგურეს.

უკრაინაში წითელ გვარდიელებს გზავნიან. სმოლნი ინსტიტუტში გადასწყვიტეს შეადგინონ წითელ გვარდიელებისაგან ცალკე რაზმები, თითოში ხუთასი კაცი და გაგზავნონ უკრაინაში საომრად.

უცხოეთი

უთანხმოება საფრანგეთის სოციალისტებ შორის. საფრანგეთის სოციალისტ დეპუტატებმა მანიფესტით მიმართეს რუსეთის სოციალისტებს. ამ მანიფესტს ხელს აწერენ ყოფილი მინისტრები **ტომა, სამბა, გედი და პარლამენტის უმრავლესობის ჯგუფი.** რეაქციონურმა პრესამ მიუსია იმ სოციალისტებს, რომლებმაც ამ მანიფესტზე მოაწერეს ხელი. ციმმერვალდელებმა ბარიზონმა, ბლანმა და რაფენდიუგენმა უარი სთქვეს მანიფესტზე ხელის მოწერაზე და პოლიტიკურ მოღვაწეთა დიდ უმრავლესობასთან ერთად დეპუტატების მოქმედების წინააღმდეგ პროტესტი გამოაქვეყნეს. ამ გარემოებამ გამოიწვია კონფლიქტი, რასაც, უეჭველია დიდი გავლენა ექნება პარტიულ ორგანიზაციაზე.

შტეინის აზრი ბოლშევიკების მთავრობაზე. რუსის ლიტერატორმა შტეინმა, რომელიც ომის დროს გერმანიაში დარჩა, გაზეთ „ფოლკსაიტუნგ ლეიპციგერ"-ში მოათავსა წერილი, რომლითაც ანდერძით აუგად ბოლშევიკების მთავრობას. შტეინი ამბობს, რომ ბოლშევიკების მთავრობა არის მცირე, არა პროლეტარულ ჯგუფის დიქტატურა. იგინი ტერორის შემწეობით ცდილობენ შეინარჩუნონ ძალა-უფლება და ამით წაუშლელ ჩირქს სცხებენ დემოკრატიას და სოციალიზმს. შემდეგ შტეინი იხსენიებს ბოლშევიკების მიერ ჩადენილ რამდენიმე ტერორისტულ აქტს და ამბობს, რომ ასეთი მდგომარეობა საბოლოოთ დაღუპავს რუსეთს, საერთაშორისო პროლეტარიატს კი არ უნდა, რომ ასე ცუდათ გათავდეს რუსეთის რევოლიუცია, რომელზედაც ის დიდ იმედებს ამყარებს. გაზეთ და ბერნშტეინის ორგანო სარედაქციო შენიშვნაში ბოდიშს იხდის, რომ დაწვრილებითი ცნობები არა აქვს რუსეთიდან. რედაქცია ეთანხმება წერილის ავტორს, რომ ბოლშევიკების მიერ მიღებული ზომები ვერ შექმნის მტკიცე რევოლიუციონურ მთავრობას, ამიტომ საჭიროა ჭეშმარიტ სოციალისტების და დემოკრატიულ ელემენტების კოალიცია. ნემცებმა რუსებთან მოლაპარაკების დაწყებისთანავე ფელდმარშლის კვერთხით დააჯილდოვეს გენ. ეიხგორნი, რომელმაც თავი ისახელა მაზურსკის ბრძოლაში, სადაც რუსებმა დიდი ზარალი ნახეს. ეიხგორნს განუცხადეს, რომ ჯილდოს აძლევენ იმიტომ, რომ მან თავის გმირობით ხელი შეუწყო და დააჩქარა ზავის შესახებ მოლაპარაკება.

სოც.-დემ. პარტიაში

გორი. 7 დეკემბერს ამხანაგი ნ. იმნაიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა მორიგი კრება გორის მაზრის კომიტეტის რუს. ს.-დ. მუშ. პარტიისა. კრებას დაესწრენ შემდეგი ადგილებიდან: მიხაილოვკიდან—ნ. იმნაიშვილი, მ. მარიამიძე, ლ. შეტრეველი, პატარიძე; გომიდან—გოგუა; ქარელიდან—მეერი (ებრაელი); ახალქალაქიდან—კაციაშვილი; მეჯვრისხევიდან—რუხაძე; გორიდან—სანდრო კეცხოველი, მაშო კაპანაძე გ. მინაზაროვი, შ. ჯავახიშვილი და გ. ვარდოიანცი.

დღიურ წესრიგშია განსახილველად: მოხსენებები ადგილებიდან, პრესის ბიურო—პარტიული ლიტერატურა, ცენტრის მორიგი კრებების შესახებ, ორგანიზაციული საკითხი, სასურსათო საკითხი, გორის ორგანიზაცია, პელის რაიონი და კომისიის მოხსენება და სხ. კრების დაწყებისას თავმჯდომარის წინადადებით კრება ფეხზე ადგომით პატივსა სცემს გარდაცვალებულ, ქარელის კომისარის ამხ. გრ. ხუციშვილის ხსოვნას. ამხ. კეცხოველმა მოკლედ გააცნო დამსწრეთ განსვენებულის მოღვაწეობა, რის შემდეგაც კრება ღებულობს ადგილობრივი კოლექტივის გადაწყვეტილებას და ავალებს ამხანაგ შ. ჯავახიშვილს მოათავსოს პარტიულ გაზეთში ნეკროლოგი. შემდეგ კრება უსმენს ყოფილი ქვემოჭალის კომისარს ამხ. თათარაშვილს. იგი სთხოვს კრებას დანიშნულ იქნას გამოძიება მისი სამსახურის დროს დაკარგულ სამი ათასი მანეთის შესახებ და სურს გაიგოს პარტიიდან მართლა განდევნილია თუ არა. თავმჯდომარემ უპასუხა თათარაშვილს, რომ ჯერ პარტიიდან არ არის განდევნილი და მის შესახებ გამოძიება შეფერხდა მისთვის, რომ ყველა დამფუძნებელი კრების არჩევნების სამზადისით იყო დატვირთული, საგამომძიებლო კომისია შეუდგება მაგ საქმის შესახებო.

ირკვევა, რომ სოფლად პარტიულ ორგანიზაციების შედგენას ნაკლები ყურადღება ჰქონია მიქცეული. შემდეგ კრება გადადის პრესის ბიუროს და პარტიულ ლიტერატურის საკითხზე დაადგინეს: ვინაიდან ჩვენ პარტიულ პრესაში ცენტრის შესახებ და აგრეთვე მთელ რაიონიდან ცნობები ნაკლებად იბეჭდება, კრება საჭიროთ სცნობს დაარსდეს პრესის ბიურო, რომელშიაც შევიდნენ ამხანაგი გ. მინაზაროვი, შ. ჯავახიშვილი და მაშო კაპანაძე. მათ და მთელ კრებას ევალება, რაც შეიძლება მეტი პარტიული ლიტერატურის გავრცელება, შემდეგ ეხებიან ცენტრის მორიგ კრებების საკითხს, დაადგინეს: კრებამ გაითვალისწინა რა დღევანდელი პირობები, საჭიროთ სცნო ცენტრის კრებები იმართებოდეს თვეში ორჯერ. თვის 1-ში და 15-ში. შემდეგ გადადიან საორგანიზაციო საკითხზე: თავმჯდომარე ფართოდ შეეხო დაყენებულ საკითხს და მიუთითა სოფლად პარტიულ ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობაზე; გამომუშავდა შემდეგი გეგმა: სოფლებში სდგება ჯგუფები, ამ ჯგუფებიდან არსდება საზოგადოება და თუ გეოგრაფიული მდგომარეობა ხელს უწყობს, არსდება რაიონული ცენტრი პარტიულ ორგანიზაციების მოსაწყობათ. კრებამ აირჩია ამხ. სანდრო კეცხოველი და გიორგი მინაზაროვი. რომ უფრო კარგათ მოეწყოს ლექციების და წარმოდგენების მართვა, კრებამ აირჩია ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია: მ. მარიამიძე და მაშო კაპანაძე, ნინა ყაჭიაშვილი, ოლა სოლოგოვი და მარი ვარდოიანცი.

სასურსათო საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. შ. ჯავახიშვილი, რომელიც აღნიშნავს სურსათის აუტანელ კრიზისს და სასურსათო კომიტეტის უძლურობას. მომხსენებელი უთითებს იმ სამწუხარო მოვლენაზე, რომ სასურსათო კომიტეტის წევრნი არამც თუ ეხმარებიან ერთმანეთს, არამედ—ხელსაც უშლიან. ადგილობრივი სასურსათო კომიტეტის შემადგენლობა იყოფა ორად: სოც.-ფედერალისტებათ და სოც.-დემ. მომხსენებლის აზრით საჭიროა სასურსათო კომიტეტში ან სოც.-ფედ. იყვნენ, ან სოც.-დემ. ამხანაგი მარიამიძე ადასტურებს მაგალითებით, რომ სასურ. კომიტეტის წევრები ვერ მუშაობენ შეთანხმებით; კრება ადგენს წინადადება მიეცეს ამხანაგებს, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, იმუშაონ ენერგიულად. ცენტრი საჭიროთ სთვლის ჩაერიოს სასურსათო საკითხში და გააძლიეროს პროპაგანდა-აგიტაცია სოფლად სურსათის მოწოდებისა. თუ ეს უკანასკნელი ცდა უნაყოფოთ დარჩა, იმ შემთხვევაში მხარს დაუჭერს რეკვიზიციასაც.

პელის რაიონის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. მინაზაროვი, რომელიც აღნიშნავს პელის რაიონის გაჭირვებულ მდგომარეობას, რაც გამოწვეულია უკომისრობის გამო. კანდიდატათ პელის რაიონულ კომისრათ წამოაყენეს დათიკო ცერცვაძე, რომელიც კრებამ მიიღო. დასასრულ ს. კეცხოველი აკეთებს მოხსენებას პირველ რაიონის რკინის გზის პარტიული ორგანიზაციის დაარსების შესახებ, ახალგაზრდა მოწაფეთა ორგანიზაციის დაარსებისა და ადგილობრივ ორგანიზაციულ მუშაობაზე. ცენტრმა მოისმინა რა მოხსენება, წინადადება მისცა გორის კოლექტივს მოახდინოს რეორგანიზაცია და დაიწყოს ახალი წევრების მიღება.

ამავე დროს კრებამ იქონია მსჯელობა იმ რაიონულ წარმომადგენლებზე, რომლებიც არ ესწრობიან კრებებს და დაადგინა: ცენტრის სახელით წინადადება მიეცეთ ყველას ან თითონ დაესწრონ, ან თავიანთი კანდიდატი გამოგზავნონ.

მუშა გორელი.

სად. ჯუმათი (გურია). 10 დეკემბერს შესდგა ჯუმათის საზ. მენშევიკ სოც.-დემ. მ. პარტიის ორგანიზაციის წევრთა შეერთებული კრება. კრებას დაესწრო 200-მდე წევრი. თავმჯდომარემ ვრცელი მოხსენება გააკეთა თანამედროვე მომენტის შესახებ. გურიის ცენტრალურ კომიტეტის წევრებათ არჩეულ იქნენ: მ. კვაჭაძე და ყ. ტუღუში. კოლექტივის წევრებათ: ს. ურუშაძე, გ. დოლიძე, მ. მურვანიძე, ნ. გოგუა, ლ. სიორიძე, მ. კვაჭაძე, ილ. დუნდუა, ლ. კვაჭაძე, ე. ხოფერია, ს. ქურიძე, მ. სალუქვაძე, ტუღუში. შემდეგ კრებამ სხვა და სხვა კითხვების შესახებ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუციები. რომ ტექნიკური მხრით გაადვილდეს პარტიული მუშაობა, კრებამ დაადგინა: ჯუმათის რაიონში შეიქნას რამოდენიმე „იაჩეიკა". მათი მოწყობა მოწესრიგება მიენდო ადგილობრივ კოლექტივის წევრებს.

მაკაშვილი.

მუშათა შორის

ავლაბარი. 17 დეკემბერს ავლაბრის თეატრ „პალასის" დარბაზში მოხდა დამფუძნებელი კრება საპნის და ზეთის ქარხნებში მომუშავეთა პროფ. კავშირისა. კრებას დაესწრო შემდეგი ქარხნის მომუშავენი: კოროლინსკისა, ტოლესი, ზილაპოგორსკის, მამედ ბეგოვის, საპნის შეერთებული ქარხნის „ზემგორისა", მტვერაძისა, კობზევისა, ზარგარიანის და აბ. ზილოტოგორსკის. თავმჯდომარედ აირჩიეს ამხ. ოსიპოვი, მდივნად ივ. ქობალევა. დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: მოხსენება პრ. კავშირის შესახებ; წევრების დამტკიცება; ახალი გამგეობის არჩევნები და სხ. რუსულ ენაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ფონ-კრემერი, რომელიც ვრცლად ახასიათებს პროფ. კავშირის მდგომარეობას დასავლეთ ევროპაში, რუსეთში და კერძოთ ჩვენში, დაბოლოს მოუწოდებს მუშებს შეერთდნენ ერთ კავშირში, ვინაიდან მხოლოდ ამ შეერთებულ ძალას შეუძლია კაპიტალისტთა ძალ-მომრეობის დატეხვა. ილ. ნაკაშიძეც შეეხო ამავე თემას. შემდეგ ამხ. ივ. ქ—ვამ დაახასიათა მოკლეთ საზოგადოების შემადგენლობა და მისი კლასებად დაყოფა. ამის შემდეგ შეუდგენ წესდების მუხლების განხილვას. ცენტრ. პრ. კავშირის წინადადებით მიღებულ იქნა რესტორან-კლუბების მოსამსახურეთა წესდება, ზოგიერთის მუხლების შესწორებით. მაგალითად ერთდროული გადასახადი მანეთის ნაცვლად ორი მანეთი დაწესდა და თვიური გადასახადი თითო პროც. ხელფასის მიხედვით. გამგეობის არჩევა კრებამ შემდეგი საზოგადო კრებისთვის გადასდო; დროებით, დელეგატების არჩეული გამგეობა რჩება საქმეების საწარმოებლათ. ავლაბრის მუშების შეკავშირებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ვუსურვებთ ახალ კავშირს ნაყოფიერ მუშაობას.

ივ. ქ—ვა.

დ. ხარაგოული 14 დეკემბერს შესდგა ხარაგოულის რაიონის მუშათა ბიუროს ჩვეულებრივი კრება. დაესწრო 25 დე წევრი.

დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი კითხვები: მოხსენებები მუშაობის შეჩერების შესახებ, ღვინის გაყიდვის შესახებ, სანოვაგის გატანის შესახებ, ბიუროს ნივთიერათ დახმარება და სხვა წვრილმანი კითხვები.

პირველად მოხსენებას აკეთებს ამხ. დ. ორაგველიძე თანამედროვე მომენტის შესახებ. ის გაკვრით ეხება ბოლშევიკების „მოღვაწეობას" დღიდან მათი ბატონობისა და შემდეგ დაწვრილებით აღნიშნავს დამფ. კრების მოწვევის საქმეს. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. კრებამ მიიღო მომხსენებლის მიერ წამოყენებული რეზოლიუცია: ბოლშევიკების მოქმედების წინააღმდეგ კრება აცხადებს საშინელ გულის წყრომას და პროტესტს დამფ. კრების გარეკის გამო, მხარს უჭერს დამფ. კრების დაუყონებლივ შესაკრებათ ცენტრის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და სრულ ნდობას უცხადებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს.

შორაპან-ჭიათურის „არტელის" მუშების მოხსნის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. პ. დევეიძე. ის და ამხ. მ. ზაქარიაშვილი გაგზავნილი იყვნენ მუშების მიერ ამიერ-კავკასიის კომისარიატში მუშაობის შეჩერების მიზეზის გამოსარკვევად. გზათა მინისტრის თანაშემწეს გავაცანით საქმის გარემოება, მუშების ულუკმაპუროთ დარჩენა დღევანდელი აუტანელი პირობები და წავუყენეთ მოთხოვნილება შემდეგი შინაარსის: ან დაუყონებლივ სამუშაოს დაწყება, ან სამი თვის ჯამაგირი. რკ. გზის ადმინისტრაციამ იქონია ამის შესახებ მსჯელობა და დააკმაყოფილა ეს მოთხოვნილება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ადგილობრივი პირობების გაცნობა არის მათთვის საჭიროო. სამუშაო მალე გაიხსნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამი თვის ჯამაგირს მიიღებენ მუშებიო.

დამატებითი მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. ზაქარიაშვილი.

მესამე კითხვის შესახებ კრებას მოახსენდა, რომ ყვირილაში მშვიდობიანობის და რევოლიუციის თავდაცვის კომისიას თავის თავზე აუღია ღვინის გაყიდვის სრულიად აკრძალვა მთელ მაზრაში. ვინაიდან ჯარების დემობილიზაცია ხდება, სადგურებიდან ღვინო უნდა იქნას დაუყონებლივ გატანილი მოშორებით რკ. გზიდან. ამის სისრულეში მოსაყვანათ ადგილობრივი რევოლიუციონური ორგანოები ირჩევენ კომისიას. ბიურომ გაგზავნა კომისიაში ორი კაცი: გ. თხელიძე და მ. ზაქარიაშვილი.

სანოვაგის გატანის შესახებ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ბევრი ლობიო, ძაძა და სხ. სანოვაგე გააქვთ რაიონიდან განსაკუთრებით ჯარისკაცებს თფილისის გუბერნიაში გასაყიდათ ამასთანავე ყველა სადგურზე მუშებიდან არჩეული პირები ადევნებენ თვალყურს სურსათის გატანას, მაგრამ უიარაღობის გამო ვერაფერს აწყობენ. კრებამ დაადგინა: რაიონულ სასურსათო კომიტეტს დაემატოს მუშებიდან აქტიურად მომუშავე პირები და გააცხოველონ სასურსათო კომიტეტში მუშაობა. კრებამ აირჩია სამი კაცი: ევგ. შველიძე, დ. ორაგველიძე და ერემია ფუტკარაძე.

მეხუთე კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჩუბინიძემ. ის ამბობს, რომ მუშაობის მოხსნის შემდეგაც უნდა იარსებოს ბიურომ და ამისათვის საჭიროა მისი დახმარება ნივთიერათ. კრებამ დაადგინა: შემოტანილ იქნას დადგენილი პროცენტები ბიუროს დასახმარებლათ. ამასთანავე კრებას მოახსენდა ვინმე ვასილ აბულაძის მოქმედება, რომელსაც წინეთაც არ შემოუტანია ხვედრი ფული ბიუროში მუშებში შეკრებილი და თავისი უზნეო მოქმედებით ისე როგორც მუშებს, ისე ჩირქს სცხებს მთელ ამხანაგობას. კრებამ დაადგინა: დაუყონებლივ გადაყენებულ იქნას ის არტელის წარმომადგენლობიდან, გამოცხადდეს მისი საქციელი პრესაში და ბიუროს წარმომადგენლების მიერ აღებულ იქნას ის ფული მისგან, რომელიც უნდა წარმოედგინა ოქტომბერში ბიუროს სასარგებლოთ.

შემდეგ გაირჩა სხვა და სხვა წვრილმანი კითხვები და კრება დაიხურა საღამოს 7 საათზე.

პრომეთეოსი.

პროვინციის ცხოვრება

სოფ. ზედა-საქარა. ამას წინეთ სოფ. ზედა საქარაში მოხდა შემდეგი ამბავი: ადგილობრივ მცხოვრებ გრიგოლ არაბიძის ქალიშვილი ერიგებოდა ამ სოფლელშივე მცხოვრებ დავით ფუტკარაძეს. ქალის მშობლებმა ნება არ დართეს თავის შვილს, რომ ფუტკარაძეს გაჰყოლოდა; შემდეგში საქმე ისე მოუწყვიათ, რომ ქალს ვიღაც დაუპირებია თავის სახლში, მას კიდევ ორი კაცი თან გაჰყოლია და ქალი წამოუყვანიათ. ჯვარის დაწერის შემდეგ ქალი ფუტკარაძეს სახლში მიუყვანია. ამ ქალს ერიგებოდა აგრეთვე ამავე სოფლის მცხოვრებ ფ—ძეს, რომლის ბიძა-შვილს, სოფლის კომისარს, ვინმე გაჩეჩილაძის შემწეობით საჩქაროთ თავი მოუყრია ადგილობრივ მილიციისათვის და შემოსევიან სოფელს. დაუპერიათ სიძე; საშინლად უწვალებიათ სიძის ორი ძმა და მასთან დაუპერიათ შვიდამდე კაცი და ქალი ფუტკარაძეები, რომლებმაც აღბით, პროტესტი განაცხადეს და რომლებსაც სულ ტყუილა უბრალოთ ორი დღე და ღამე მშიერ-მწყურვალი ციხეში გაატარებიეს. ჯვარდაწერილი ქალი კი მაშინვე იარაღიანმა ხალხმა ცემა-ტყეპით მამას მიჰგვარეს. მამამ თავის წილად გამოკითხვის შემდეგ ქალს საშინლად სცემა: „როგორ თუ გაბედე შენ ფუტკარაძის გაყოლაო". საშინლად მიეპყრო ქალს აგრეთვე მისი ბიძა-შვილი, პრაპორშჩიკი კოწია არაბიძე, რომელმაც დაუზოგავად სცემა საცოდავს. საქმე ჯერ არ გათავებულა, გამოძიება სწარმოებს.

„ერთობის" მე 193 ნომერში ბ. „საქარელი მ."-ის მიერ მოთავსებულია წერილი ამ ამბის შესახებ. ამ წერილში ბევრი არ შეეფერება სიმართლეს: ერთი რომ ქალი ძალით არ წამოუყვანიათ, და მეორე—ქალს სცემა არა ფუტკარაძემ, არამედ—მისმა მამამ, გრიგოლ არაბიძემ, რომელიც დღეს უთვლის ფუტკარაძეს,—მომეცი ათასი მანეთი და ქალს მოგცემო. ასეთი არა სასურველი ამბები ხდება ჩვენში. ხალხს ციხეში აწყვდევენ. დროა ასეთ უსამართლობას ბოლო მოეღოს და საწყალმა, დატანჯულმა სოფლის გლეხმა ოდესმე მაინც იგრძნოს თავისუფლება.

კაკო ფ.

წერილები რედაქციის მიმართ.

სართიჭალის სარაიონო ცენტრალური გლეხთა დეპუტატების საბჭომ, მოისმინა რა გაზეთ „ერთობა"-დან ცნობა ყოფილი სარაიონო კომისარის ქვათაძის ბოროტმოქმედების შესახებ დაადგინა: რადგან ქვათაძე მოწვეული იყო საბჭოს მიერ კომისრათ როგორც საიმედო პირი და მოქმედებდა მის კონტროლის ქვეშ, ამიტომ საბჭო დაინტერესებულია ამ ცნობის სინამდვილეში. გაზეთში სხვათა შორის ვკითხულობთ: „მაზრის კომისარ ასათიანს ხშირათ მისდიოდა ცნობები ქვათაძის ბოროტ-მოქმედების შესახებო". გამოდის, რომ თითქოს ქვათაძეს ჩადენილოს მთელი რიგი ბოროტმოქმედებათა. საბჭოს აქვს საბუთები იფიქროს, რომ ეს ცნობა მოკლებულია საფუძველს. რაც შეეხება მიზეზს (რამდენათაც საბჭომ იცის) ქვათაძის სამსახურიდან დათხოვნისას, საბჭოს სურს გაიგოს რამდენათ სამართლიანი იყო ქვათაძის დასჯა. და ამიტომ საჭიროთ სთვლის ქვათაძეს დაენიშნოს დემოკრატიული სინიდისის სასამართლო თვით სართიჭალის რაიონში, ყველა სოფლიდან შეგნებულ გლეხთა თანდასწრებით, სადაც, ვისაც რამე საბუთი აქვს, ბრალდების დასამტკიცებლათ მოვიდნენ და სთქვან. სასამართლოს შემადგენლობაში საბჭო მოითხოვს ერთს წარმომადგენელს სართიჭ. ს. დ. მ. პ. კომიტეტისაგან, მეორეს ამიერ კავკასიის გლეხთა ცენტრიდან და მესამეს საგუბერნიო კომიტეტიდან *).

საბჭოს თავმჯდომარე ვ. კანჯარაშვილი, წევრები: **სანდრო მეკოშკიშვილი, მიხეილ ჯიღური, ვანო მაისურაძე, პეტრე ლადიძე.**

---

*) საბჭოს უკეთესად მიაჩნია მთავარ მოსამართლეებათ იყვნენ ზემოხსენებული პირები, რომელნიც დანიშნავენ სასამართლოს დღეს.

დაიკარგა ბილეთი მიცემული ... ზემოხეთის სამმართველოსაგან და 100 მ. ფული, მპოვნელს ვსთხოვ ფული დაიტოვოს, ხოლო ბილეთი უკან დააბრუნოს შემდეგი მისამართით: г. Тифлисъ, Худадовская ул. № 37. Георгію Моисеевичу Горгадзе. 1—1

კბილის ექიმი
მამულაიშვილი-ხოდნევისა
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა. ოლღას ქ. № 22.

კბილის საექიმო
და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა
დაარსებული
ბ. ზაიკინა-შინკარევის
მიერ, ტფილისი, მიხეილის პრ. ს. № 76,
ავადმყოფები მიიღება განუწყვეტლივ
დღისით და ღამით.
ღამით მორიგეობა ექიმებისა.

სახალხო განათლების კომისარის
კაბინეტი და კანცელარია
მოთავსებულია პეტრე-დიდის ქუჩა, № 8.
ტელეფონი 16—27.
ნახვა შეიძლება დილის 12 სა.—2 სა. საათ.

ექიმი
ნ. პ. რუხაძე
იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ-დღე, გარდა კვირა დღეებისა, საღამოს 6 დან 8 საათამდე. მიხეილის პრ. № 78; ბინა 2.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე კვირას გარდა, საღ. 5—7 საათამდის, გუნიბის ქ. № 41.

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ-ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

ექიმი
ბ. დონხინი
ყოფილი ასისტენტი პარიზის, მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს.
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე.
მიხეილის პრ., 76, (ზაიკინის კბილის საექიმო).

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, № 4

ექიმი კ ი გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა
ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი
ანტიოხი
შინაგანი ავადმყოფობანი და ავადმყოფობანი ყურისა, ყელისა, ცხვირისა და თვალისა.
მიღება ყოველ-დღე გარდა უქმეებისა, დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
შაბათობით უფასოთ, ზუბალოვის ქ. 26.

მედიცინის დოქტორი
ბ. ბ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა.
იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. [illegible] არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1საათამდე, საღამოს 6—8-მდე, ზუბალოვის ქუჩა № 28, ტელეფონი 7—92.

ქ. თფილისის უსაქმოდ დარჩენილ მუშების საყურადღებოთ.

ქალაქის შრომის ბირჟაში შემოდის მოთხოვნილება სხვა და სხვა დარგის მუშათა საჭიროებაზე.

შრომის ბირჟა

წინადადებას აძლევს ყველა ადგილობრივ

უსაქმოდ დარჩენილ მუშებს ჩაეწერონ ბირჟაში.

ბირჟა ღიაა ყოველ დღე (გარდა კვირა უქმე დღეებისა) დილის 10 ს. დღის 3 საათ.

ბირჟა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე ზუბალოვის სახლში № 11, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. 3—1

თბილ. გუბერნიის სასურსათო კომიტეტისაგან.

გუბერნიის სასურსათო კომიტეტი ამით აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ ადგილობრივ სასურსათო კომიტეტების შესახებ გამოცემულ დებულების ძალით (§ 5 1917 წ. 30 მარტიდან), მიმდინარე წლის 15 დეკემბრიდან ქ. თფილისის მთელი სასურსათო საქმე გადადის ქალაქის თვითმართველობის ხელში, იმავე უფლებით, რა უფლებითაც აღჭურვილი იყო ქალაქის სასურსათო კომიტეტი. ამის გამო ქალაქის სასურსათო კომიტეტი ითვლება გაუქმებულად და ყოველივე ღონისძიებანი სასურსათო საკითხის მოსაწესრიგებლათ იქნება მიღებული მხოლოდ და მხოლოდ თფილისის ქალაქის თვითმართველობის სასურსათო საკრებულოსაგან.

1—1 გუბერნიის სასურსათო კომიტეტი.

სწრაფად-მბეჭდავი სტამბა რუსთაველის გამზირის შესახვევი № 1.